სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 29 მარტი 2005 №68 (2391) ფასი 50 თეთრი



გადაწყდა: დინამო ცხადაძისაა

ახალი მწვრთნელი ოფიციალურად დაამტკიცეს

2

მართლა გჯერა ივან?

ინტერვიუ ივან ელგერასთან

8

ტაუერივით ხელშეუხებელი

77:72 აკადემიურ ნიჩბოსნობაში

14

ჟირესის ენერგეტიკული პრობლემა

ფრანგმა ქართველები უნდა დამუხტოს

საბერძნეთის დავიწყება და თურქეთის დამარცხება — ალენ ჟირესი და მისი გუნდი ამ ამოცანის ამოხსნას უკირკიტებენ, თანდათან ხასიათზე მოდიან და თუ ჟირესი ხვალისთვის ფეხბურთელებს კარგადაც დამუხტავს, მსოფლიოს ბრინჯაოსნებს კარგი დღე არ დაუდგებათ. ისინი გუშინ ჩამოვიდნენ და მათ აეროპორტში ცეკვა-თამაშით დახვდა აქაური თურქობა, ჩვენ კი ჩვენებს უნდა შევუძახოთ და გავამხნევოთ.

ხოლო დღეს ეროვნულ სტადიონზე კარი გაიღება და ქომაგს ახალგაზრდული ნაკრების გულშემატკივრობის საშუალება ექნება. ფიფა კი ქართველი ქომაგის გამო საქმეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას გაურჩევს.

დიდი თურქობა აეროპორტიდანვე

გუშინ თბილისის აეროპორტი თურქებმა დაიპყრეს. თავისი ნაკრების მოლოდინში ოსმალო ქომაგებმა იმღერეს და იხტუნაკეს, დროშები აფრიალეს და ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვიროდნენ: „თურქიე, თურქიე!“ მათ ფონზე კნუტის კნავილს ჰგავდა ოთხიოდ პატარა ქართველის შეძახილი: „საქართველო, საქართველო!“

შავი ზღვის უნივერსიტეტის თურქი სტუდენტები ორგანიზებულად ჩამწკრივდნენ გამოსასვლელთან, მათ ერთი კაცი ხელმძღვანელობდა, რომელიც დროდადრო ქართულად შეეძახებოდა სტუდენტებს, უკან დაეხეოთო და, „ბანზე ნაძალიძახებდა, არიქა, ფეხბურთელები გამოდიანო, ოსმალო გულშემატკივრები გამოსასვლელს მიაწყდებოდნენ. ცრუ განგაშის გამო ასე რამდენჯერმე განმეორდა.

ერთ-ერთი თურქული ტელეარხის კორესპონდენტი თანამემამულეებს ეკითხებოდა, თამაშს ვინ მოიგებსო, რაზეც დაახლოებით ერთნაირ პასუხს სცემდნენ, რა თქმა უნდა, ჩვენო, ზოგმა კი ანგარიშის გამოცნობაც არ დაიზარა და თქვა, სულ ცოტა 3:0-ს მოვიგებთო. საერთოდ თურქ ქომაგებს ეს წესად აქვთ — რაგინდარა მეტოქეს ხვდებოდეს მათი ნაკრები, დაუზარებლად გაწლილან ხუთ თოთს, შემარცხავენ და დაიკვლებენ: „ბეშ, სიფირ!“, რაც 5:0-ს ნიშნავს. ამის მთქმელებმა ოდნავ მოგვიანებით რეპერტუარი შეცვალეს და „საქართველო, საქართველო!“ დასჭექეს, თუმც ეს, ცხადია, მალე დამთავრდა.

შავი ზღვის უნივერსიტეტის სტუდენტებს ამასობაში ორმოცდაათამდე ვარდი მიუტანეს და დაურიგეს, ფეხბურთელები რომ გამოვლენ, სათითაოდ ჩაახუტეთო.

მოლოდინი გაიწელა, თურქობა კი არ ცხრებოდა. ქომაგობაში ნაღდად დაულლელები არიან და კაცს შეშურდება მათი.

ოსმალო გულშემატკივრებისთვის ნანატრი წუთიც დადგა. პირველი თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევენთ ბიჩაქჩი გამოჩნდა და ეგრევე ვარდი დაიმსახურა. პრეზიდენტს მხლებლებმა უთხრეს, ავტომობილი იქით გველოდებაო და ისიც დაიძრა. დაახლოებით ათი ნაბიჯით გამცდა, რომ დავუძახე „ლევენთ ბეი!“ ბიჩაქჩი ოდნავ შემცბარი მიყურებდა, რადგან ვეუცხოვე, მაგრამ ერთი წუთი მაინც დამითმო, როცა ჩემი ხელობა გავუმხილე.

„ალბანეთთან გამარჯვების შემდეგ გუნდი კარგ ხასიათზეა. ვიცით, რომ ბერძნებთან დამარცხდით და ახლა უფრო მონდომებულები ითამაშებთ, მაგრამ ჩვენ აქ მხოლოდ მოსაგებად ჩამოვედით“ — თქვა პრეზიდენტმა.

ლევენთ ბიჩაქჩის წასვლიდან ათიოდ წუთში შარვალ-პიჯაკებში გამოწყობილი მსოფლიოს ბრინჯაოსნები გამოჩნდნენ, მაგრამ მანამდე არ დაიძრნენ ავტობუსისკენ, სანამ ახლოს არ მოაყვანინეს და ამით ფეხით სავალი შეიმცირეს.



თურქი სტუდენტების ხელმძღვანელმა შეგირდებს დერეფანი გააკეთებინა, დერეფანს თუ არ გააკეთებთ და გზას ჩაკეტავთ, ფეხბურთელები ჩქარი ნაბიჯით ტრანსპორტისკენ გაემართებიანო.

კომენტარისგან ყველა თავს იკავებდა, ემრე ბელოზოღლუ ისე თავჩაქინდრული მიიპარებოდა, თითქოს საქართველოსთან 0:3 წაეგოს და სამივე გოლი საკუთარ კარში მას გაეტანოს. რუშთუც დაბღვერილი იყო, ილდირაი ბაშთურქი კი სხვების ფონზე „ყურებამდე გაღიმებულ“ კაცს ჰგავდა. ყველაზე მხიარული „გალათასარაის“ ყმაწვილი ფორვარდი ნეჯატი ათეში ჩანდა, რადგან ალბანელებთან გოლი გაიტანა და ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაიმკვიდრა. თურქი ფეხბურთელები თუთიყუშებივით იმეორებდნენ, მოვიგებთ, რა თქმა უნდა, მოვიგებთო.

ავტობუსში მათ ასვლას ხუთიოდ წუთი დასჭირდა, მერე კი ბრეჟნევის დროს საქართველოში ქორწილები რომ იმართებოდა, ისე, თურქული დროშებით შეიარაღებულმა ოცდაათამდე ავტომობილმა ეროვნული ნაკრების ავტობუსი ნეფე-პატარძალივით სასტუმრო „მარიოტთან“ მიაცილა. აქ ყველაფერი უცბად დამთავრდა. ფეხბურთელები ნომრებში ალაგდნენ, ერსუნ იანალი კი ფოიეში ცოტა ხანს გაჩერდა. ტელეფონით ისაუბრა და ჟურნალისტებს გვითხრა, დაღლილი ვარ, ხვალ პრესკონფერენციაზე შევხვდებით, ახლა ნულარ შემაწუხებთო.

მაჟა ხუციშვილი

ცაკარიასის მორიგი კორქმლები

საქართველოს ჩემპიონატის ლიდერი „თბილისი“ კორეულ ბაზარზე გავიდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ კლუბის პირველმა ეგზოტიკურმა შენაძენმა მინ ჩოიმ გაამართლა, ეს ბიჭი ლუის ცაკარიასის გუნდში მყარად ჩაჯდა. გუშინწინ კი „თბილისში“ კიდევ ორი კორეელი ჩამოვიდა — 17 წლის ფორვარდი კიმ სუნგ იუ და 19 წლის ცენტრალური ნახევარმცველი კიმ კიონგ ჩიუ.

როგორც „თბილისის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა მამუკა გუგეშაშვილმა გვითხრა, ორივე ახალწვეული გერმანულ მეორებუნდესლიგელ „ალენის“ დუბლებში თამაშობდა, თუმც მათი დონისა ჯერ რა გითხრათო. გუგეშაშვილისვე ცნობით, კორეელებისთვის კონტრაქტის გაფორმება არ შეფერხდება — რაც მთავარია, ცაკარიასს ისინი მოსწონსო.

ისე კი, „თბილისს“ საკადრო პრობლემები დაუხვავდა. ნახევარი შემადგენლობის წასვლას რომ თავი დავანებოთ, გუნდს ტრავმის გამო თორნიკე აფციაური აკლია, გუშინწინ კი ბესო მიქიაშვილიც დაიმტვრა.

ილია ნანოგაფშვილი



გადაწყდა: დინამო ცხადაძისაა!

კახა ცხადაძის „დინამოს“ მთავარ მწვრთნელად დანიშვნაზე ლაპარაკი რამდენიმე დღის წინ დაიწყო, გუშინ კი საქართველოს ნაკრების ყოფილ კაპიტანს კონტრაქტი გაუფორმეს. ისე, ყველაფერი უკვე ნათელი იყო, ბეჭდის დასმას მხოლოდ „დინამოს“ მმართველი დირექტორის უცხოეთში ყოფნა აფერხებდა, გუშინ კი პეტრიაშვილ-ცხადაძის მოლაპარაკება შედგა და...

კახა ცხადაძე საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების თავკაცია, სამიოდ წლის წინ კი სამწვრთნელო კარიერა თბილისის „ლოკომოტივში“ დაიწყო, თუმც შემდეგ ისევ მინდორს დაუბრუნდა და მახაჩყალის „ანჟიში“ ბურთაობდა. ბოლოს კი ცხადაძე ბოლნისის „სიონის“ კონსულტანტადაც მუშაობდა.

მოკლედ, ცხადაძე დაბრუნდა გუნდში, რომელშიც 1987-90 წლებში თამაშობდა, ახლა კი ძნელ საქმეს შეეჭიდა — ქართული ფეხბურთის ფლაგმანი კრიზისიდან უნდა გამოიყვანოს...

დავით ოდიკაძე

ფოტო: ფრანსუა ფერეიროლისა



ფოტო: ფრანსუა ფერეიროლისა

გოგიტა გოგუა

VAS-Y!

ეროვნული ნაკრების შტაბში გუშინ სათურქეთო მზადების მეორე დღე იყო და უკვე ისე ნირწამხდარნი აღარ ჩანდნენ ნაკრებელები, როგორც საბერძნეთთან მატჩის მეორე დღეს.

ალენ ჟირესის გუშინდელ პრესკონფერენციას სამი თურქული ტელეარხის წარმომადგენლებიც დაესწრნენ, ერთი თურქი ჟურნალისტი კი განსაკუთრებულად აქტიურობდა, თავისი ფრანგულით იწონებდა თავს და შეკითხვებსაც ბლომად იძლეოდა.

ჟირესს კი ეტყობა, რომ თანდათან ფორმაში შედის, მონუსხული აღარ არის, თავი უკვე ყინჩად უჭირავს.

„ვცდილობთ, საბერძნეთთან მატჩი დავიგოწყოთ და თურქეთისთვის მაქსიმალური თავდადებით მოვემზადოთ. ახალი ისაა, რომ ნაკრებში დავით ოდიკაძეს ვუხმეთ, გოგიტა გოგუას კი ტრავმა უშლის ხელს, რათა სრული დატვირთვით ივარჯიშოს. ამ დროისთვის მისი თურქეთთან თამაში ძალიან სათუოა“ — ამით დაიწყო ჟირესმა პრესკონფერენცია.

ამასობაში თურქეთიდან დაბრუნდა გაიოზ დარსაძე, ვინც თურქეთ — ალბანეთის 26 მარტის მატჩს დაესწრო, რათა ჟირესისთვის მოეხსენებინა იმ თამაშის ავან-ჩავანზე.

„თურქეთის ნაკრებში ახლა ბევრი ახალი ფეხბურთელია, მათზე ბევრი არაფერი ვიცით“ — გვითხრა ჟირესმა და, ცხადია, ის აღარ მოგვახსენა, თუ რა შეიტყო მეტოქეზე დარსაძისგან.

„მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი კი შეგვიმცირდა, მაგრამ გამორიცხული არაფერია, ბრძოლა კიდევ შეიძლება“ — ჟირესმა დაახლოებით იგივე გუშინწინაც თქვა, მაგრამ გუშინ ეს უფრო მხნედ წარმოთქვა, ჩვენი შესარჩევი ჯგუფის სხვა გუნდებზე კი დასძინა, ზედა ოთხ გუნდს მუნდიალზე მოხვედრის თანაბარი შანსები აქვთო.

გოგუა ჟირესმა საბერძნეთთან ლევან ცქიტიშვილით შეცვალა და თუ გოგუა არ ითამაშებს, მას ალბათ კვლავაც ფრაიბურგელი შეცვლის, ვინც ბერძნებთან მატჩისთვის საუკეთესო ფორმაში არ იყო, გრიპისგან ახლადგანკურნებული გახლდათ.

„ცქიტიშვილი უკეთ არის და სათურქეთოდ ოპტიმალურ ფორმაში იქნება“ — განგვიმარტა ჟირესმა.

როგორ შეადარებდით იმ თურქეთს, რომელსაც ტრაპიზონში ეთამაშეთ და ახლანდელს?

„ახალმა ფეხბურთელებმა თურქეთის ნაკრებს სახე შეუცვალეს, ნახევარდაცვას მეტი მოქნილობა შესძინეს“ — იყო ჟირესის პასუხი.

მეფრანგულე თურქმა ჟურნალისტმა მუსიეს ისიც ჰკითხა, თქვენს გუნდში რა ცვლილებები იქნებაო, რაზეც ჟირესმა ასე მოუჭრა: „ქართველ ჟურნალისტებს იმას ხომ არ ვეტყვი, მივიდნენ თურქეთის ნაკრების მწვრთნელთან და კითხონ, საქართველოსთან რას და როგორ აპირებთ თამაშსო?“

ჟირესმა ბოლო წუთებზე გაშვებულ გოლებზეც ისაუბრა და დასძინა, ასეთი რამ მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპის გუნდებს არ ემართებათ, გადამწყვეტ მომენტში კონცენტრაციას სხვებიც კარგავენ, თუმც საბერძნეთთან გაშვებულ გოლებს სულ ვიდეოზე ვატრიალებთ, ბოლო წუთებზე მარილაც მეტი სიფრთხილე გვმართებსო.

ვარჯიშზე დიდად განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, თუმც რამდენიმე რამ მაინც გვენიშნა. მაგალითად, გიორგი ლომაია ნაკლებად დატვირთეს, ვიდრე ნაკრების დანარჩენი ორი მეკარე — აკაკი დევაძე და მირზა მერლანი. რამდენიმე ფეხბურთელს, რომლებსაც საბერძნეთთან არ უთამაშია, განსხვავებული პროგრამით ჩაუტარდათ წვრთნა.

გოგუამ კი ოდენ იძუნძული, ისიც ცოტა ხნით, მაგრამ მას ვარჯიშზე მისული ბავშვები არ ასვენებდნენ — გოგუას უკვე ავტოგრაფის მთხოვნელია რიგი უდგას.

...ეს ჟირესის განსაკუთრებული გამოცდაა. მან პირველად უნდა დარაზმოს გუნდი შოკური თამაშის შემდეგ, თანაც სულ რამდენიმე დღეში.

VAS-Y LA GÉORGIE, VAS-Y ALAIN — ფრანგულად ასე ყვერს — მიდი, საქართველო, მიდი, ალენ!..

დავით თავართქილაძე

თბილისი. 29 მარტი. 16 საათი. ეროვნული. ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

საქართველო U21 — თურქეთი U21

მსაჯები: კოსტადინ კოსტადინოვი; ვენცისლავ გავრილოვი, დეტელინ ბეიალტზალიევი; რადან მირიანოვი (ყველა ბულგარეთი)

ახალი ქართული ახალგაზრდული

თურქის კორტნა ჩვენი კონტრაა



ფოტო: ფრანსუა ფერეიროლისა

ქართველი 21-წლამდელები სათურქეთო მზადებაში არიან და გოჩა ტყებუჩავაც იმედიანადაა. მართალია, ფრეზე სამ ქულას არ იძლევიან, მაგრამ მწვრთნელი ელინებთან თამაშით კმაყოფილი დარჩა, ეს დაახლოებით ის ფეხბურთი იყო, რასაც ჩემი ბიჭებისგან ვითხოვო.

ქართველმა ახალგაზრდებმა გუშინ „ეროვნულზე“ საათნახევარი ივარჯიშეს. ჯერ იყო ნახევარ მინდორზე ცალკარა, მერე სტანდარტულებზე მუშაობა, ბოლოს კი ტყებუჩავამ კონტრშეტევებში გაწაფა იაშვილ-„ნოდარიჩ“ ჭელიძის დუეტი. აკი გვითხრა კიდეც გუშინ მწვრთნელმა, თურქებთან სწრაფ კონტრშეტევებს უნდა მივმართოთო.

დღეს „ეროვნულზე“ მისულ ქომაგს ტყებუჩავას კრებული სახეშეცვლილი დახვდება. ისე მოხდა, რომ თითოეულ ხაზს თითო ფეხბურთელი გამოაკლდა: მეკარე ირაკლი თოლაძეს ფეხი სტკივა, მცველ ბესიკ მიქიაშვილს ვარჯიშზე მენისკის ტრავმა მიყენია, ნახევარმცველი ჯაბა კანკავა ორი ყვითელი ბარათის გამო არ იქნება და ფორვარდ სანდრო გურულის ბერძნებთან მიღებული ტრავმაც სერიოზული აღმოჩნდა. გუშინ ინდივიდუალურად ივარჯიშა კაპიტანმა მამუკა ლომიძემაც, რომელსაც ექიმები საღამოს დაუდგენდნენ დიაგნოზს.

კარში „სიონის“ გოლკიპერი მინდია ბობღიაშვილი ჩადგება, დაცვის მარცხენა ფლანგზე ჩამოიწევს ზაალ ელიავა, ხოლო ნახევარდაცვაში რევაზ გეწაძეს აენთება მწვანე. დისკვალიფიკაციამოხდილი გიორგი ციმაკურიძე ალბათ დაცვის ცენტრში შეუწყვილდება თენგიზ ჩიკვილაძეს და მათე ღვინიანიძე კანკავას ადგილს დაიკავებს საყრდენ ნახევარმცველად, მის გვერდით კი ისევ მიხეილ ბესარაშვილი იქნება, ფორვარდებად სანდრო იაშვილი და გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე, ხოლო ოთარ მარცვალაძე ისევ მარქაფობას დასჯერდება — გუშინდელ ვარჯიშზე ქართველთა ძირითადი შემადგენლობა ასე „დაიხატა“.

გოჩა ტყებუჩავა: ცოტა შეშფოთებული ვარ ამდენი დანაკლისის გამო. ლომიძე შეუძლოდ გახდა და თუ ვერ მომჯობინდა, დამატებითი სიიდან მომიწევს ვინმეს გამოძახება. ციმაკურიძის შემატება ძალიან წაგვადგება. წინასწარ შემადგენლობას ვერ ვიტყვი, მაგრამ ვარჯიშის მიხედვით მისი გამოცნობა არ გაგიჭირდებათ.

— თურქეთ — ალბანეთის ფირს დღეს ვუყურებთ, ისე კი, ზეპირი ინფორმაცია მაქვს. მეტოქე ნაღდად უძლიერესია ჩვენს ჯგუფში დანის შემდეგ. თურქებს კარგი ფორვარდები ჰყავთ, თუმც არც ერთი რგოლი არ დაეწუნებათ. ჩვენ უფრო კონტრშეტევებზე ვითამაშებთ, რადგან მეტოქე ძლიერია და შევეცდებით, დაცვაში სივრცეები ამოვავსოთ.

— თურქეთი საბერძნეთისგან იმით განსხვავდება, რომ უფრო სწრაფად და აზრიანად უტევს. მაი ბერძნებივით მაღალი მოთამაშეები არ ჰყავთ. ცოდვა გამხელილი სჯობს და, უხარისხო მინდორი მაი უფრო შეუშლის ხელს.

თურქმა 21-წლამდელებმა გუშინ საღამოს შეაბიჯეს „ეროვნულზე“. რასით ჩეთინერის ბიჭებმა ოთხი დღის წინ ალბანელები 4:0 გაანადგურეს და ჯგუფში მეორე ადგილი უკავიათ, გამორჩეულები კი „ფენერბაჰჩეს“ ფორვარდი სენთურქი და „ტრაბზონის“ შუახაზელი ადემ კოჩაკი ჰყავთ.

ქართველი და თურქი ახალგაზრდები აქამდე ორჯერ გადაჭრიან ერთმანეთს: 2002 წელს სტამბოლში ამხანაგურად 1:0 მოვიგეთ მალხაზ ასათიანის გოლით, შარშან კი ამავე შესარჩევის სტამბოლური ჯახი 0:0 დასრულდა.

ილია ნანოგაჯვილი

ათასი მონოდების თუ თხოვნის მიუხედავად, საქართველო — საბერძნეთის მატჩისას მაინც ისროლეს ბოთლები, სანთებელები, ხურდა... თუმცა ეს მცირე ჩამონათვალია იმ საგნებისა, მოედანზე რომ გადაყარეს. რა გველის ახლა? ყოველ შემთხვევაში, კარგი არაფერი. ფაქტია, რომ ფიფა თავზე ხელს არ გადაგვისვამს და...
გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენმდივანმა ჟურნალისტები მიგვიწვია. იგი აღშფოთებული იყო და აი, რატომ...

დაგვსჯიან!

— არყის თუ ლუდის ბოთლები, რკინის ნაჭრები, ხურდა, ბოქლომები, დანები და... თქვენ წარმოიდგინეთ, მასრები და ტყვიები — აი, რა საგნები ისროლა ხალხმა მოედანზე.

— როცა ყველაფერი კარგად ჩაივლის ხოლმე და პრეტენზიები არ არის, მატჩის დელეგატი აქედანვე აგზავნის ფიფაში პატაკს. ამ თამაშის დელეგატმა კი კატეგორიულად განგვიცხადა — ფიფაში თავადვე მივალ და პატაკსაც იქ დავწერო. ამიტომაც, არა მგონია, დისკვალიფიკაციას აკცდეთ. თურქეთთან მატჩამდე ვერ მოასწრებენ, მაგრამ მოძდევნო თამაშებისთვის ალბათ დაგვსჯიან.

-- შესაძლოა, ერთ ან ორთამაშიანი დისკვალიფიკაცია მოგვცენ, თუმც სერიოზულ ფულად ჯარიმასაც არ გამოვრიცხავ.

— დელეგატმა უკვე წაიღო ყველა ის საგანი, რაც მოედანზე ნახა და გაკვირვებას ვერ მალავდა, ყველაფერი გასაგებია, მაგრამ როცა 1:0 იგებდით, ხალხი რატომ იყო აღშფოთებულიო. სწორედ მაშინ ისროლეს საიდანღაც მოგლეჯილი რკინის ძელი, რომელიც აგერ, მაგიდაზე დევს.

— გარდა ამისა, მოპარულია ტრიბუნის თავზე დამაგრებული დროშები და გატეხილია სტადიონის ექვსი კარი.

— რუსეთთან მატჩის წინ ერთხელ უკვე გვაპატიეს და სასჯელი შეგვიმსუბუქეს, ახლა კი იგივეს არავინ გააკეთებს და ჩვენც არ გავასაჩივრებთ, თორემ შესაძლოა, სანქციები უფრო დაგვიმძიმონ.

— არავის ვემუქრები, უბრალოდ, ვთხოვ: ნუ გააკეთებთ ამას და ნუ დაგვტოვებთ უფეხბურთოდ. ფიფას საერთოდ არ აინტერესებს, ვინ და როგორ იცავს სტადიონზე წესრიგს. ისინი პასუხს ჩვენ მოგვთხოვენ. ამ თამაშზე 2 000 სამართალდამცავი იყო, მაგრამ... რაც გამოვიდა, ყველამ ნახა. უწესრიგობებს ბოლო არ უჩანს.

— ძალიან ბევრი უბილეთო მოვიდა სტადიონზე, რომლებიც ძალით შესვლას ცდილობდნენ. ეს კიდევ არაფერი, ყალბი ბილეთებიც აღმოვაჩინეთ. ხვალ ქალაქის პრემიერ თემურ ქურხულს ვხვდები და ამის თაობაზე მოვახსენებ. გაყალბებული ბილეთების კვალის აღმოჩენა უკვე გამოძიების საქმეა. იმ სტამბაში, სადაც ბილეთებს ასეთ მაღალ დონეზე აყალბებენ, ალბათ ფულსაც გააყალბებენ.

— თურქეთიდან ძალიან ბევრი გულშემატკივარი ჩამოდის. უკვე გამოყოფილი გვაქვს ერთი სექტორი, სადაც ისინი დასხდებიან. სექტორს კერძო დაცვის სამსახური დაიცავს და იმედი მაქვს, ცუდი არაფერი მოხდება. ერთხელაც ვთხოვ ყველას, პოლიციას, გულშემატკივარს, ნებისმიერს, ვინც სტადიონზე იქნება, ნუ ჩავიდენთ ისეთ საქციელს, რამაც შეიძლება ძალიან დაგვაზარალოს.

ქახა შალამბერიძე

გადრე ჯუმბერაძის ფოტო

მხოლოდ საქართველო
მხოლოდ ერთი ტაიმი

ბერძნებთან მატჩის ყურება, რედაქტორის დავალებით, დამცავი ღობის შიგნიდან, კარსუკან მდგომს მომიწია. ნიკოპოლიდისის კარს უკან ვიდექი და ლომაიას კარში გასული არც ერთი გოლი წესიერად არ დამინახავს. იმ ადგილიდან სხვა რამეები ჩანს და ისმის სხვაგვარად.

დავიწყოთ იმით, თუ რა ისმის. როცა ტრიბუნაზე ზიზარ, საკუთარი ღრიალი გესმის. მეზობლის ღრიალიც გესმის და მთლიანად შენი სექტორისაც, თუ, რა თქმა უნდა, სექტორი ხმაშეწყობილად ყვირის ერთ რომელიმე შეძახილს. ასეთი შეძახილები კი რამდენიმე გვაქვს: „გო-ლი, გო-ლი!“ „მეტოქეს რა?!“ (თავისი ცნობილი პასუხით), „სუდია პიდარასტ!“ და მისთანები.

მაგრამ როცა ყველა სექტორი თავისას გაიძახის, ქვევით რომელიმე ერთი შეძახილის გაგონება შეუძლებელია და გგონია, ოცი ათასი ტარზანი ერთდროულად ყმუისო. ამ დროს მოედანზე არსებული სიტუაციის მიხედვით თუ გაშიფრავ, რას ნიშნავს ტრიბუნებიდან წამოსული ეს: უუუუუუუუუ.

მაგრამ მაინც არის ერთი შეძახილი, რომელიც, სხვებისგან განსხვავებით, მოედანზე მკაფიოდ ისმის. ეს არის: სა-ქა-რთვე-ლო! ვერ გეტყვით, რატომ, მაგრამ ფაქტია.

„საქართველო!“ შაბათს პირველი ტაიმის მსვლელობისას ხშირად ისმოდა, აი, მეორე ტაიმში კი რა მოგახსენოთ...

და აქ სხვა, გულშემატკივრობის ამბავში მთავარ საკითხს მივადექით.

შაბათს, ჯერ კიდევ მატჩამდე, ბევრმა ნაცნობმა მითხრა, ევროპის ჩემპიონს, აბა, როგორ უნდა მოვუგოთო. ნამატჩევს ამგვარად მოფიქრალთა რაოდენობამ მკვეთრად იმატა.

ახლა კი ვიკითხოთ: გულშემატკივარი, რომელიც ევროპის ჩემპიონის დამარცხებას ეჭვის თვალით უყურებს, ქართველი ფეხბურთელებისგან სწორედ რომ გამარჯვებას ითხოვს და თუ შეატყო, რომ ფეხბურთელიც მისებრ ფიქრობს, ბოთლს ესვრის. ანუ ბევრი ქართველი გულშემატკივარი ისევე-არაპროფესიონალია ქომაგობაში, როგორც ბევრი ფეხბურთელი თამაშში.

რა თქმა უნდა, ყველა, ვისაც არ სჯერა, რომ საქართველოს ნაკრებს ტიტულიანი მეტოქის დამარცხება შეუძლია, ბოთლის მსროლელი არ არის, ბოთლის მსროლელები კი თითო-ოროლანი არიან, მაგრამ რა ვუყოთ, რომ ნასროლი ბოთლების რაოდენობის მიხედვით იქმნება შთაბეჭდილება გულშემატკივრებზე.

ქვემოდან ისიც უკეთ ისმის, როგორ აფრთხილებს ერთი საძართალდამცავი დანარჩენებს, ბოლო წუთებია, ყურადღებით იყავით, ახლა დაიწყება ბოთლების სროლაო. ის დანარჩენები კი გაფრთხილებას აინუშშიაც არ აგდებენ და ტრიბუნისკენ, ისიც ცალი თვალით, ბოთლი რომ გადმოვარდება, მხოლოდ მერე იხედებიან.

კოტე კეკელია

შეაჭრიალეთ!
წაგებას მოგება დავუმმობილოთ...

ბერძნებთან წაგებით გაღიზიანებული ბევრი მკითხველი ამ სტატისტიკის შემხედვარე ალბათ იტყვის, წყალწაღებული ხავსს ეჭიდება, მაინც არაფერი გვეშველება და ისტორიას რაღას ჩაჰკირკიტებთო. და მაინც, საინტერესოა, როგორ თამაშობდა საქართველოს ნაკრები ოთხდღიან ან ერთკვირიან მონაკვეთში ორ მატჩს (აქ მხოლოდ ოფიციალურებზეა ლაპარაკი).

მწარედ გვახსოვს 1998 წელი, როცა ევროშესარჩევში ალბანეთთან სასტარტო მოგების შემდეგ ჯერ რევაზ ძოძუაშვილის ლატვიასთან 0:1 წავაგეთ, მერე კი საბერძნეთთან 0:3 გავნადგურდით და ერთი შეხედვით იოლი ჯგუფიდან გასვლის შანსი ხახვივით შემოგვეფცქნა. იმავე ციკლში კიდევ ორჯერ მოგვიწია წყვილ-წყვილად თამაშმა, მაგრამ ხეირი ვერ ვნახეთ.

მხოლოდ ერთხელ მოხდა, ორივე თამაში რომ მოვიგეთ და ისიც მაშინ, როცა ჯგუფიდან გასვლის შანსი აღარ გვქონდა — 2001 წელს ჯერ უნგრეთს, მერე კი ლიტვას მოვუგეთ.

ბოლოს ყბადაღებული ოთხდღიანი ციკლი შარშანწინ იყო, მაგრამ ქულას ძლივს გამოვკარით ხელი — ირლანდიასთან მარცხს შვეიცარიასთან ფრე მივაყოლეთ...

ერთი უსიამოვნო ტენდენციაც: პირველი წაგება მოგებით არასოდეს შეგვინაცვლებია, პირიქით კი რამდენიც გინდათ... ან ის რად ღირს, ალბანეთს თბილისში პირველ 30 წუთში რომ მოვუთავეთ საქმე, ტირანაში კი გულისამრევად წავაგეთ.

...ხომ შეიძლება, ერთხელ პირიქით მოხდეს და ნაკრებმა დაგვანახოს, რომ ყველა მარცხის შემდეგ ყურების ჩამოყრა არასაკადრისი საქციელია.

ილია ნანოგაშვილი

07.06.97	შ	მჩ	მოლდოვა	2:0	შ. არველაძე, ქინქლაძე
14.06.97	ს	მჩ	პოლონეთი	1:4	შ. არველაძე
10.10.98	ს	ეჩ	ლატვია	0:1	
14.10.98	ს	ეჩ	საბერძნეთი	0:3	
30.05.99	ს	ეჩ	ნორვეგია	0:1	
05.06.99	შ	ეჩ	საბერძნეთი	1:2	ქეცბაია
04.09.99	ს	ეჩ	სლოვენია	1:2	შ. არველაძე
08.09.99	ს	ეჩ	ლატვია	2:2	შ. არველაძე, ყველაშვილი
07.10.00	ს	მჩ	ლიტვა	4:0	ქეცბაია (2), ქინქლაძე, ა. არველაძე
11.10.00	ს	მჩ	იტალია	0:2	
01.09.01	შ	მჩ	უნგრეთი	3:1	შ. არველაძე, ჯამარაული, იაშვილი
05.09.01	შ	მჩ	ლიტვა	2:0	იაშვილი (2)
29.03.03	შ	ეჩ	ირლანდია	1:2	კობიაშვილი
02.04.03	შ	ეჩ	შვეიცარია	0:0	
06.09.03	შ	ეჩ	ალბანეთი	3:0	შ. არველაძე (2), აშვეთია
10.09.03	ს	ეჩ	ალბანეთი	1:3	შ. არველაძე
04.09.04	ს	მჩ	თურქეთი	1:1	ასათიანი
08.09.04	შ	მჩ	ალბანეთი	2:0	იაშვილი, დემეტრაძე

6 მოგება, 3 ფრე, 11 წაგება 26:30



კოჭლაშვილი სიონში

ბოლნისის „სიონმა“ მეორე ეტაპი კარგად დაიწყო, მაგრამ ბოლო ტურებში დავთრები ისევ აერია და გასავარდნ ზონას თავი ვერ დააღწია. კლუბის ხელმძღვანელობამაც იფიქრა და გიგლა იმნაძეს მწვრთნელის პოსტი დაატოვებინა, მის ნაცვლად კი მერაბ კოჭლაშვილი დანიშნა.

კოჭლაშვილი „სიონს“ ცუდად ახსოვს. სწორედ მისმა გაწვრთნილმა „ვიტ ჯორჯიამ“ მოუგო ბოლნისელებს სკანდალური „ოქროს მატჩში“, რის შემდეგაც ქვემოქართლელთა დაღმასვლა დაიწყო.

ოპრია, შე თარსო!

კაპისი — 44-ე, ვრიზასი — 45-ე, იანაკოპულოსი — 54-ე...

რატომაა ასეთი დანავსული საქართველოს ნაკრებისთვის პირველი ტაიმის ბოლო წუთები თუ მეორე ტაიმის დასაწყისი? რა ემართება გუნდს? ალბათ ნებისმიერ გულშემატკივარს უგრძნობს გული, რომ ამ დროს ჩვენთვის რაღაც ცუდი უნდა მოხდეს და უმეტეს შემთხვევაში ასეცაა.

ხშირად უთქვამთ ტრიბუნაზე მსხდომ ქომაგებს, „ოღონდ ახლა გავუძლოთ“, „ოღონდ ახლა ნუ გავუშვებთ“, „ახლა თუ გაგვიტანეს, მორჩა“ და... მართლაც ძალიან ბევრჯერ მომხდარა ეს „მორჩა“.

საკმარისია წარსულის ამოქექვა საიმისოდ, რომ ერთგვარი ავადმყოფობის ისტორია დაიწეროს.

მაშ ასე, პირველი ოფიციალური, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი: თბილისი. საქართველო — მოლდოვა 0:1. ოპრია გახსოვთ? სწორედ მან გაუტანა ქართველებს გოლი და ეს მე-40 წუთზე მოხდა. ის თამაში წავაგეთ. როგორც ჩანს, ოპრიამ „დაგვწყევლა“, სულ პირველი ტაიმის ბოლოს გაგეშვათ გოლებიო და, ამ ჯადოს მოხსნა ძალიან გაჭირდა. ნაკრებს ეგებ მჩხიბავი ვინმე დაექირავებინა, ჯადოებს რომ ხსნის...

გერმანიას სტუმრად ქეცბაიას გოლით რომ ვუგებდით, მიოლერმა 38-ეზე გაათანაბრა და მერე 4:1 გამოვიდა.

იტალია — საქართველო 1:0. რავანელის თავური 43-ე წუთზე და საქმე დამთავრებულია.

საქართველო — იტალია 1:2. მარკო დელვეკიომ 45-ე წუთზე დააწინაურა თავისიანები...

იგივე მეორე ტაიმების დასაწყისში. მაგალითად, ბულგარეთი — საქართველო 2:0. უგოლო პირველი ნახევრის შემდეგ ემილ კოსტადინოვმა 55-ე და 62-ე წუთებზე საქმე დაასრულა.

სლოვენია — საქართველო 2:1. აქაც უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ 48-ე წუთზე აჩიმოვიჩმა შეაგდო და საბოლოოდ წავაგეთ კიდეც.

იტალია — საქართველო 2:0. ალესანდრო დელ პიერომ 47-ე წუთზე პენალტით გახსნა ანგარიში...

სლოვენიას თბილისში ზაზა ჯანაშიას გოლით ვუგებდით და 52-ეზე კნავსმა გაათანაბრა.

ბოლოს ის მატჩი გავიხსენოთ, რომელიც ბერძნებთან შინ 1:2 წავაგეთ. ქეცბაიას გოლით ვიგებდით და ელინებმა მატჩის ბოლო ოთხ წუთში ყველაფერი ყირამალა დააყენეს.

ვითომ მჩხიბავი გვიშველის?

ვაჟა ხუციშვილი

07.09.94 საქართველო 0:1 მოლდოვა
0:1 ოპრია (40)
12.10.94 ბულგარეთი 2:0 საქართველო
1:0, 2:0 კოსტადინოვი (55, 62)
29.03.95 საქართველო 0:2 გერმანია
0:1, 0:2 კლინსმანი (24, 45)
06.09.95 გერმანია 4:1 საქართველო
0:1 ქეცბაია (28), 1:1 მიოლერი (38), 2:1 ციგე (56), 3:1 კირსტენი (61), 4:1 ბაბელი (72)
09.10.96 იტალია 1:0 საქართველო
1:0 რავანელი (43)
09.11.96 საქართველო 0:2 ინგლისი
0:1 შერინგემი (13), 0:2 ფერდინანდი (37)
30.04.97 ინგლისი 2:0 საქართველო
1:0 შერინგემი (43), 2:0 შირერი (90)
14.06.97 პოლონეთი 4:1 საქართველო
0:1 შ. არველაძე (25), 1:1 ლედვონი (32), 2:1 ტრეფჩეკი (35), 3:1 ბუკალსკი (70), 4:1 ნოვაკი (90)
27.03.99 საქართველო 1:1 სლოვენია
1:0 ზ. ჯანაშია (43), 1:1 კნავსი (52)
28.04.99 საქართველო 1:4 ნორვეგია
0:1 შეფილაძე (16სკ), 0:2 ფლო (27), 0:3 სოლსკიერი (35), 0:4 ფლო (38), 1:4 ზ. ჯანაშია (58)
05.06.99 საქართველო 1:2 საბერძნეთი
1:0 ქეცბაია (54), 1:1 ფრანცესკოსი (86), 1:2 მახლასი (90)
04.04.99 სლოვენია 2:1 საქართველო
1:0 აჩიმოვიჩი (48), 1:1 შ. არველაძე (55), 2:1 ზაპოვიჩი (80)
09.10.99 ალბანეთი 2:1 საქართველო
1:0 რაკლი (30), 2:0 კოლა (36), 2:1 შ. არველაძე (53)
11.10.00 იტალია 2:0 საქართველო
1:0, 2:0 დელ პიერო (47პ, 88პ)
02.06.01 საქართველო 1:2 იტალია
0:1 დელვეკიო (45), 0:2 ტოტი (66), 1:2 გახოკიძე (80)
06.06.01 უნგრეთი 4:1 საქართველო
1:0 მატიუში (40), 2:0 შებოკი (45პ), 3:0, 4:0 კორსოში (55, 62), 4:1 კობიაშვილი (74)
01.09.01 საქართველო 3:1 უნგრეთი
1:0 შ. არველაძე (34), 1:1 მატიუში (44), 2:1 ჯამარაული (49), 3:1 იაშვილი (64)

გოგუა აქამდე იქ გაირკვა

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი გოგიტა გოგუა რუსულმა „ხიმკიმ“ საჩემპიონატო განაცხადში შეიყვანა. მართალია, ამ ცნობაში სენსაციური არაფერია, მაგრამ „ხიმკის“ თავკაცობა აქამდე გარკვეული პრობლემების გამო ვერ აგვარებდა ამ ოფიციალურ მხარეს, რის გამოც გოგუამ რუსეთის თასის ორი მატჩი გამოტოვა.

გოგიტა ახლა თბილისშია ნაკრების შეკრებაზე, თუმც ითამაშებს თუ არა თურქეთთან, ჯერაც გასარკვევია. საბერძნეთთან მატჩში კუნთდაჭიმულ გოგუას ახლა ექიმები დასტრიალებენ და დღეს-ხვალ მისი დიაგნოზი საბოლოოდ გაირკვევა.

კახა შალამბერიძე

geo_geo_fan@hotmail.com

საქართველოს ნაკრებმა პრინციპული მატჩი ვერ მოიგო. უფრო სწორად, ისევ ვერ მოიგო. განწყობა, რომელიც გულშემატკივართა მატჩისწინა წერილებში იყო, უკვალოდ გაქრა და ახლა ყველა იმაზე ლაპარაკობს, წაგების მიზეზებად რაც მიაჩნიათ.

ამ მოსაზრებებიდან ზოგს ბევრი მხარდამჭერი გამოუჩნდებოდა და იტყვიან, ჩვენც იმავეს ვფიქრობთო, ზოგზე კი ალბათ იტყვიან, ეგ არ არის ჩვენი ნაკრების ცუდი თამაშის ნაღდი მიზეზიო. მაგრამ ეს არ არის მთავარი. იყოს ბევრი მოსაზრება. მატჩის მერე ხალხი მის პერიპეტიებს რომ არ არჩევდეს, სამწუხარო და საგანგაშო ეგ იქნებოდა...

BAGRATIONI888: *საშინელი იმედგაცრუება. სხვა რა უნდა ეწოდოს საქართველოს ნაკრების მიერ ნაჩვენებ ბოლო შედეგს, რომელმაც ქართულ ფეხბურთს ყველა იმედი გაუქარწყლა. ამ თამაშმა კიდევ ერთხელ დაგვანახა ქართული ფეხბურთის დაბალი დონე, რომ სატურნირო თვალსაზრისით ჩვენი ფეხბურთელები გადამწყვეტ მატჩებში საკმაოდ მოიკოჭლებენ. სინამდვილეს თვალი გავუსწოროთ და ვთქვათ, ბერძნებმა კლასის ხარჯზე დაგვჩაგრეს. და არა მარტო კლასის, ასევე გამოცდილების ხარჯზე, რომელიც ძალიან აკლია ჩვენს გუნდს.*

RAMZES1967: *მოგესალმებით. ორიოდე სიტყვა გასულ მატჩთან დაკავშირებით. ჩემი აზრით, ყველაფრის მწვრთნელისთვის გადაბრალება უბრალოდ არაკორექტულია. შეიძლება ჟირესი იმ დონის პროფესიონალი არ არის, როგორიც რეპაგელია, მაგრამ იმდენი ცოდნა მაინც აქვს, რომ საქართველოს ნაკრების დღევანდელი შესაძლებლობების დონის შესაბამისი ამოცანები სწორად დასახოს. პრობლემა უფრო ფეხბურთელების არასაკმარის პროფესიონალიზმში იმალება (უფრო სწორად, უკვე აღარ იმალება). ამის მაგალითად ისიც გამოდგება, რომ ფეხბურთელებმა წაგების მიზეზად ტაიმის ბოლოს გაშვებული გოლებით გამოწვეული დაბნეულობა დაასახელეს. ეს იგივეა, ოპერაციის დროს ქირურგმა რომ თქვას, სისხლი დავინახე, დავიბენი და ვერაფერი ვერ გავაკეთეო. რა გაბნევთ? ფეხბურთი იმისაა, რომ ან გაიტანო, ან გაგიტანენ. ამისთვის გადაბჟირება და გულის წასვლები, როცა მსოფლიო ჩემპიონატზე გინდა (თუ გინდა) თამაში, არასერიოზულია. კიდევ ერთი, რა ზეც საჭიროა ყურადღების გამახვილება. არ შეიძლება, შუა თამაშში, 1:0-ზე დაგეუფლოს შედეგით კმაყოფილების გრძნობა (საფახბურთო ნარცისიზმი), რადგან თამაში 90 წუთი გრძელდება. გულით ვუსურვებ ნაკრებს მომავალ თამაშში ნარმატებულ გამოსვლას. იმედი არ დაკარგოთ!*

MMCBURDULI: *გაუმარჯოს „სარბიელს“. პირველად გნერთ თქვენი ერთგული მკითხველი 1990 ნლის 28 დეკემბრიდან. ასევე „კროკოს“ მოთამაშე (მხოლოდ გართობის მიზნით) იმ დროიდან, ფურცელაძე ზე ორი მაგიდა რომ იდგა და ქვითრებს ხელით ორ-ორჯერ ვავსებდით. ჩემი აზრით, ნაგების მიზეზებია:*

1) ფედერაცია. კაცმა, რომელმაც მშობლიური ენა არიცის (ჩოლარია), ის ქართულ საქმეს არ გააკეთებს და, ცხადია, მისთვის მთავარი შემოსავალია. ესე იგი, ბილეთის ფასი.

2) ზეწოლა ჟირესზე (სხვა რას უნდა მივაწეროთ არველაძის ძირითადში თამაში).

3) ასეთი მატჩის წინ გუნდის კაპიტანი მოდაზე არ უნდა საუბრობდეს „მზეზე“.

4) თავდამსხმელების უნიათობა (გოლი თუ გადის, ნახევარდაცვას გააქვს).

5) მარჯვენა ფლანგის იგნორირება.

6) დაცვის სისუსტე (მცველმა თავდამსხმელს უნდა უყუროს და არა გვერდით მსაჯს).

ყოველივე ამის მერე მაინც გამოუსწორებელ ოპტიმისტად ვრჩები და თურქებთან გამარჯვების იმედიც მაქვს (გულს ვერ უბრძანებ).

IRAKLY: *სად არის საქართველოს ნაკრები? ბოლოსწინა ადგილზე ჯგუფში. დიახ, ჩამოვიდა საბერძნეთი და მივვიჩინა ჩვენი ზუსტი ადგილი, არამარტო მეორე შესარჩევ ჯგუფში, არამედ მსოფლიო ფეხბურთშიც. ზუსტად ასეთია ჩვენი გუნდი სამწუხაროდ. საშუალოზე დაბალი კლასის გუნდი, რომელსაც შეუძლია ვიღაცას როდესღაც დააკარგვინოს ქულა, მაგრამ არ შეუძლია მოიგოს არც ერთი გადამწყვეტი თამაში. შეცდა არველაძე, შეცდა ლომაია, შეცდა მჟავანაძე, ყოველი გაშვებული გოლი ვიღაცის შეცდომაა. ეს ასეა ყველგან, მაგრამ რა სახელი შეიძლება მოეძებნოს იმას, რომ უშვებ ბურთს და მოედანზე ბრინჯივით იბნევა თერთმეტივე მოთამაშე. უკლასობა? დიახ. სხვა ახსნა ამას არა აქვს. უბრალოდ, დროა, შევეგუოთ იმას, რომ სანამ ჩვენ არათუ საბერძნეთს, არამედ იტალიის და ესპანეთის დარ გუნდებს ვერ მოვუგებთ შესარჩევში, მანამ ადრეა დიდ ტურნირში მონაწილეობაზე საუბარი. ბოლოს კი დავძენთ, ვისაც კიდევ შეგრჩენია ძალა, ნადით სტადიონზე და უქომაგეთ მხურვალედ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს. ძნელია ამის მოთხოვნა, მაგრამ სწორედ ეს არის გულშემატკივრობა. ფედერაციის ადგილზე მე საერთოდ უფასოდ დავუშვებდი დასწრებას ამ თამაშზე. ძნელია იყვირო, როდესაც ბოღმის ცრემლი ყელში მოგწოლია და გახრჩობს, მაგრამ მაინც სა-ქართ-ვე-ლო!*

TORNIKE560: *გამარჯობათ. საქართველოს ნაკრებს არ ეყავს მწვრთნელი. ჟირესმა არიცის, როგორ ათამაშოს გუნდი. აქვს მხოლოდ ერთი ტაქტიკა, მიეცით ბურთი ასათამაშებს და ის რამეს მოიფიქრებსო. საქართველოს უნდა ძოძუაძვილი, მხოლოდ ის თუ შეძლებს შედეგის ჩვენებას. ისე, სირცხვილია, კაცი არც ერთხელ არ ყოფილა ნაკრების მთავარი მწვრთნელი. ყიფიანთან ერთად კი იყო, მაგრამ ყველამ ვიცით, ვინ იყო მთავარი. და კიდევ, სანამ ჟორდანია იქნება ფედერაციის სათავეში, არანაირ ნარმატებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება.*

GBERIDZE9875: *26 მარტს მაყურებელმა ყველაფერი გააკეთა, რაც მას სთხოვეს. რაც მას შეეძლო: სტადიონი გაიცხო, ყველამ ჰიმნი იმღერა, დროშები აფრიალა, საპასუხოდ კიკიდევ ერთი იმედგაცრუება მიიღო. შაბათს ჩვენ ვიხილეთ კარგად ნაცნობი და მობეზრებული საქართველოს ნაკრები. დრო მიდის და პრობლემები იგივე რჩება. მაგალითად, პირველი ტაიმის ბოლო წუთზე გაშვებული გოლები, ადრე ერთს მაინც გვიტანდნენ... გასაკვირია ასევე ჟირესის (და საერთოდ, ყველა მწვრთნელის, შუშაკის გარდა), შეხედულება შოთა არველაძის თამაშზე. დიდი ხანია, მაყურებელს ასე არ გაუცილებია შეცვლილი ფეხბურთელი და იქნებ გულშემატკივრის ასეთმა ჟესტმა დააფიქროს როგორც მწვრთნელები, ისე თავად ფეხბურთელი. ერთადერთი დადებითი, რაც მახსენდება, გოგიტა გოგუას თამაშია. და კიდევ ერთი: მარტო საქართველოში უნევს ბრძოლა ბილეთიან მაყურებელს იმისთვის, რომ მოხვდეს სტადიონზე.*

აი, ეს არის ჩვენი დღევანდელი ფოსტა და სანამ ხვალამდე დავიშვიდობებოდეთ, თქვენი ნებართვით, ამ წერილებში გამოთქმულ ორიოდე მოსაზრებაზე გავაკეთებ კომენტარს: 1) რა არის მთავარი ვალერი ჩოლარიასთვის, ამაზე ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ქართველების არასაკმარისად ცოდნა საქმის კარგად კეთებისთვის ხელისშემშალელი მიზეზი არ შეიძლება იყოს. ამდენად, მოსაზრება, რომ ქართველის ცუდად მცოდნე კაცი ქართველ საქმეს არ გააკეთებს, ვფიქრობ, მცდარი უნდა იყოს.

2) მწვრთნელი, რომელიც თამაშის წაგებას ჟურნალისტებს აბრალებს, ვფიქრობ, ნაკრებს არ გამოადგება. ამას ბატონი რევაზ ძოძუაშვილი აკეთებდა.

WEB-ოსტატი გუარა

geo_geo_fan@hotmail.com

ბერძნებს გვერდები აუდგათ

ეს ბერძნული გაზეთების პირველი გვერდებია. ეს არ არის ჩვეულებრივი გვერდები, ეს გამარჯვებულთა გვერდებია. ეს გახარებული, ბედნიერი ჟურნალისტების გაკეთებული გვერდებია.

სამწუხაროდ, ასეთი გვერდები საქართველოში ძალიან იშვიათად კეთდება...

„სპორტაიმი“: აი ის, ის ჩემპიონია

„ფილათლოსი“: ევროპიდან მსოფლიოს ჩემპიონატზე მივდივართ

„ფოსი“: ეროვნული დღე. ოქროს გამარჯვება საქართველოსთან

„პროთატლატისი“: ეს ევროპის ჩემპიონია

„გოლი“: საბერძნეთი მსოფლიოს თასისთვის

იკერს ოქროში ჩასვამენ
თუ წასვლაა, წასვლა იყოს

ალექს ფერგიუსონმა საბოლოოდ აღიარა: მას უნდა, რომ მადრიდის „რეალის“ მეკარე იკერ კასილიასი „მანჩესტერ იუნაიტედის“ კარში ჩადგეს და მსოფლიოს ყველაზე მაღალხელფასიანი გოლკიპერი შეიქნეს.

ალექს ფერგიუსონი იკერ კასილიასს „მანჩესტერ იუნაიტედში“ უხმობს, პირველი ნომრობა გარანტირებული გექნებაო

მოგეხსენებათ, 24 წლის კასილიასი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა და მომავალ ზაფხულს კონტრაქტი უმთავრდება „რეალთან“. ის ნაწყენი ყოფილა, რომ „სამეფო კლუბი“ გრძელვადიან ხელშეკრულებას არ სთავაზობს და ხელფასის საგრძნობ მომატებასაც არ ჰპირდება.

ის პირველ ნომრად ყოფილა ფერგის მეკარეთა სიაში, სადაც მეორე საუთჰემპტონელი ფინელი ანტი ნიემია.

ორივეს ფასი დაახლოებით 5 მილიონი გირვანქაა, მაგრამ „მანჩესტერს“ უფრო კასილიასი სურს, თანაც ის 9 წლით უმცროსია ნიემიზე.

ფერგი კვირაში 70 ათას გირვანქას და ოთხწლიან კონტრაქტს შესთავაზებს ესპანელს, რომელიც, თუ დათანხმდება, ამ 4 წელიწადში 14 მილიონ გირვანქას მიიღებს ხელფასად.

გეცოდინებათ, „მანჩესტერი“ აღარ აპირებს ამერიკელი ტიმ ჰოვარდის კარში ჩაყენებას, როი კეროლი და რიკარდო ლოპესი კი გუნდიდან ზაფხულში მიდიან.

უმეკარეოდ რაიმე ტიტულისთვის ბრძოლა კი უაზრობაა.

კასილიასს უთქვამს, „რეალში“ დარჩენა მინდა, მაგრამ თუ წასვლაა, ახლა სჯობსო.

ამ საკითხზე ბევრს მუშაობს „რეალის“ ყოფილი მწვრთნელი, აწ ფერგიუსონის მარჯვენა ხელი კარლუშ კეირუშიც.

ირაკლი გამყრელიძე

ოუენი ჩარლტონს უმიზნებს

მადრიდის „რეალისა“ და ინგლისის ნაკრების თავდამსხმელმა მაიკლ ოუენმა ჩრდილოეთ ირლანდიასთან მატჩში ერთი გოლი გაიტანა და სანაკრებო გოლების რაოდენობა ოცდაცხრამდე გაზარდა. შედეგად, ინგლისის ნაკრების ბომბარდირებს შორის მეცხრედან მეშვიდე ადგილზე გადაინაცვლა — ოუენს ახლა თითო გოლით უსწრებენ ალან შირერი, ტომ ფინი და ნეტ ლოფტჰაუზი. ახლა „რეალის“ ფორვარდმა ოთხშაბათს, აზერბაიჯანთან ერთიც რომ გაიტანოს, მეოთხე საფეხურზე აღმოჩნდება.



„ჩრდილოეთ ირლანდიასთან მატჩის წინ პროგრამაში წავიკითხე, რომ მეცხრეზე ვიყავი, ახლა უკვე წინ წავიწიე და ცხადია, ვეცდები, აზერბაიჯანთანაც გავიტანო. ლეგენდარული ბობი ჩარლტონის რეკორდამდე (49 გოლი) ბევრი მიკლია, მაგრამ ჯერ 25 წლის ვარ და ყველაფერი ჩემს ხელთაა. ჯანმა თუ არ მიღალატა და ნაკრებში თამაში გავაგრძელე, სერ ბობის დაწევის შანსი მექნება, რასაც ცხადია, ვიამაყებ“ — თქვა მაიკლ ოუენმა.

ვაჟა ხუციშვილი

თაღლითი და მუქთამჭამელი
კიუელი ბაიერნში ჩაეწერება

მე ვიგონებ ტრავმას? — ჰარი კიუელმა „ლივერპულის“ მწვრთნელ რაფაელ ბენიტესს ვერ გაუგო

„ლივერპულის“ ავსტრალიელი ფორვარდი ჰარი კიული შესაძლოა, მიუნხენის „ბაიერნში“ გადავიდეს. გერმანული მედიის ცნობით, „ბაიერნი“ ინგლისურ კლუბს წინასწარ ტრანსფერზე უკვე შეუთანხმდა და სავარაუდოდ 2 მილიონ 500 ათას გირვანქასაც გადაიხდის.

ახლა ჰარი კიუელი კვირაში 60 ათას გირვანქას ჯამაგირის სახით იღებს, მაგრამ ვერ „ჩაეწერა“ რაფაელ ბენიტესის გუნდის ძირითად შემადგენლობაში. ესპანელ მწვრთნელს მიაჩნია, რომ ავსტრალიელი თაღლითობს და ხშირად ავადმყოფობას იგონებს. ფაქტობრივად, ხელფასს ტყუილად იღებსო, თქვა ერთხელ ბენიტესმა.

ჰარი კიუელს „ლივერპულთან“ კონტრაქტი 2008 წლამდე აქვს გაფორმებული.

გარდა ამისა, „ბაიერნიდან“ წასვლას აპირებს მარცხენა გარემარბი ზე რობერტო. 30 წლის ბრაზილიელმა კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივება იუარა და მისი მომავალი გუნდი ალბათ მადრიდის „ატლეტიკო“ იქნება.

და, თუ ზე რობერტო წავიდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ბავარიელებს კიუელი სწორედ მის შემცვლელად ესახებათ.

ვაჟა ხუციშვილი

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა

XII ტური

AFP გიოანბიიდან

ბრაზილია — პერუ. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონებმა შესაშურად მებრძოლი პერუელები მხოლოდ კაკას ერთადერთი გოლით გატეხეს

პარეირამ რონალდო ხალხისგან დაიცვა
უნდა გიხაროდეთ, ის ბრაზილიელია

ბრაზილია 1:0 პერუ

1:0 კაკა (74)

ბრაზილია: დიდა, კაფუ, ლუსიო, ჟუანი, რობერტო კარლოსი, ემერსონი, ზე რობერტო, ჟუნინიო პერნამბუკანო (რობინიო 46), კაკა (რენატო 83), რონალდინიო, რონალდო

პერუ: ო. იბანიესი, სოტო, რებოსიო, ა. როდრიგესი (გვადელუპე 73), ვილკესი, ხაიო, ზეგარა, სოლანო (კომინგესი 69), პალასიოსი (ოლკესე 46), ფარფანი, ჯ. პიზარო

მსაჯი: კარლოს ამარილია (პარაგვაი)

50 000 მაყურებელი

ეკვადორი 5:2 პარაგვაი

0:1 ხ. კარდოზი (10), 0:2 ხ. კაბანასი (15), 1:2 ვალენსია (32), 2:2, 3:2 ე. მენდესი (45, 48), 4:2 ვალენსია (50), 5:2 აიოვი (77)

სამხრეთ ამერიკის ერთიან შესარჩევ ჯგუფში 12 ტური მიმდინარეობს და ტურნირის დასრულებამდე ექვსი ტურით ადრე, დანამდვილებით რაიმეს თქმა შეუძლებელია — ბოლოადგილოსან ბოლივიას მხოლოდ ხუთი ქულა აშორებს საპლეიოფო მეხუთე ადგილისგან.

მეთორმეტე ტური კი კვირის ორი მატჩით დასრულდა და შაბათის მატჩებისგან განსხვავებით, როცა მასპინძელთაგან ვერავინ მოიგო, კვირის შეხვედრებში გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ.

ბრაზილიამ კაკას გვიანი გოლით მოუგო პერუს, იქამდე კი მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონებს ოთხი საათის და 29 წუთის განმავლობაში ვერ გაეტანათ გოლი.

გიოანიაში, შუადღის პაპანაქება სიცხეში, 50 ათასი მაყურებელი კარგა ხანს ამაოდ ელოდა გოლს. არადა, პირველ ტაიმში რონალდოს ორი უნაღდესი მომენტი ჰქონდა: ჯერ იყო და, რეალელი კაპიტანმა კაფუმ დატოვა მეკარე ოსკარ იბანიესის პირისპირ და რონალდომ რაღაც სასწაულით ვერ გაიტანა, მერე კი რობერტო კარლოსის ასევე ჩინებული პასით გასულ რონალდოს ისევ იბანიესი გადაეფარა.

საბოლოოდ, რონალდომ მაინც გაიკეთა თავისი საქმე, რაკი სწორედ მისი პასით გაიტანა კაკამ ერთადერთი გოლი. ხოლო ნამატჩევს რონალდომ გამოუყენებელი მომენტების გამო ასე იმართლა თავი: „ევროპაში მოთამაშე ფეხბურთელებს ძალიან გვიჭირს სამხრეთ ამერიკაში მომქანცველი მგზაურობის მერე მოედანზე გასვლა.“

რობერტო კარლოსმა კი მეტოქეც დადანაშაულა მწირეულანობაში, მეტსმეტად ფრთხილად ეკეთამბნენ.

კარლოს ალბერტო პარეირას, ბრაზილიელია მწვრთნელს, მეტოქის ხოფრთხილეზე ეურადღება არ გაუმახვილებია და ამის ნაცვლად თავისი ფეხბურთელები გაკიცხა: „ძალიან სულ ვმოძრაობდით. მოქმედენა, რომ გუნდს თამაშის მადა არ ჰქონდა“ თუმცა, იქვე პარეირამ რონალდოც დაიცვა, რომლის თამაშითაც „ულეშემატკივარი უკმაყოფილო დარჩა. „ხალხმა ძალიან მალე დაივიწყა ყველაფერი, რაც რონალდოს ნაკრებისთვის გაუკეთებია. ის უდიდესი ფორვარდია და ჩვენ უნდა გვიხაროდეს, რომ რონალდო ბრაზილიელია“

მეორე მატჩში, ეკვადორმა დასაწყისშივე გაუშვა ორი გოლი პარაგვაისგან, მაგრამ საბოლოოდ დიდად არ უნალვლია, რაკი იქით ხუთი გაიტანა, თუმცა გვარიანი ნერვიულობა კი შეხვდათ.

მეთხუთმეტე წუთისთვის პარაგვაი, რომელიც უკვე გითხარით, ორი ბურთით იგებდა — ხოსე კარდოზომ პენალტით გაიტანა, რასაც ხუთ წუთში სალვატორ კაბანასმა მეორე მიაყოლა.

ამის მერე კი თამაშში საინტერესო გარდატეხა მოხდა და პარაგვაელებმა თავი ქუდში რომ ეგოცათ, ხუთი გოლი გაუშვეს და ცხრიდან ეკვადორელთა გადასწრების საუკეთესო შანსიც დაკარგეს.

კოტე კეკელია

არგენტინა	12	7	4	1	23:12	25
ბრაზილია	12	6	5	1	20:11	23
ეკვადორი	12	6	1	5	17:13	19
პარაგვაი	12	4	4	4	14:16	16
ურუგვაი	12	4	3	5	17:24	15
კოლუმბია	12	3	5	4	12:11	14
ჩილე	12	3	5	4	11:12	14
ვენესუელა	12	4	2	6	13:17	14
პერუ	12	3	4	5	13:14	13
ბოლივია	12	3	1	8	12:22	10

XIII ტური: 30 მარტი

ბოლივია — ვენესუელა

ურუგვაი — ბრაზილია

პერუ — ეკვადორი

პარაგვაი — ჩილე

არგენტინა — კოლუმბია

მართლა გჯერა, ივან?!

რა საერთო აქვთ რეალსა და მიხაელ შუმახერს

გუშინ მადრიდის „რეალის“ მცველი ივან ელგერა 30 წლისა შესრულდა. იუბილარი პოპულარულმა გამოცემა AS-მა თავისთან იწვია და მრავალ საინტერესო თემაზე ესაუბრა. ქვემოთ სწორედ ამ ინტერვიუს გთავაზობთ



— 30 წლისა შესრულდით. თავს ვეტერანად მიიჩნევთ თუ გამოცდილ ფეხბურთელად?

— ამას წინათ დევიდ ბექემმა თქვა, ფეხბურთელი 30 წელს რომ გადააბიჯებს და მომავლისა შეეშინდება, თამაშს მაშინვე უნდა შეეშვასო. მე ვეთანხმები დევიდს. 30 წლისა უკვე გამოცდილი, ჩამოყალიბებული ფეხბურთელი ხარ და კიდევ ბევრი სარგებლის მოტანა შეგიძლია გუნდისთვის. საკმარისია მაურო სილვას, დონატოს, პაოლო მალდინისა და ფრანკო ბარეზის მაგალითები გავიხსენოთ.

— ამ ასაკში რომ უმაღლეს დონეზე ითამაშო, რა არის ამისთვის საჭირო?

— ფეხბურთი უნდა გიყვარდეს და თამაში გსიამოვნებდეს. თუ ჟინი არ გაგიქრება, ორგანიზმიც მზად იქნება უმაღლეს დონეზე სათამაშოდ.

— არ მინდოდა ამ საზეიმო დღეს მეკითხა, მაგრამ მთელ ესპანეთს აინტერესებს: რატომ არ გამოგიძახათ ლუის არაგონესმა ნაკრებში?

— კარლოს მარჩენასა და დავიდ ნავაროს ტრავმების მერე ვფიქრობდი, რომ არაგონესი ნაკრებში დამაბრუნებდა, მაგრამ მას არც გავხსენებივარ. მიზეზი ნაღდად არ ვიცი. აუცილებლად დაველაპარაკები არაგონესს და გავარკვევ საქმის ვითარებას.

— ახლა „რეალზე“ ვილაპარაკოთ. გუნდის ძირითადი შემადგენლობა ხომ არ დაბერდა?

— არა, რას ამბობთ. ზიდანის თამაშით დატკბობა კიდევ კარგა ხანს მოგვიწევს. ივივეს ვიტყვი რონალდოსა და რაულზეც. თან ისინი მხოლოდ 28 წლისანი არიან. „რეალში“ ახლა ისეთი ვითარებაა, როგორიც ფორმულა 1-ში. ახლავე გეტყვით, რასაც ვგულისხმობ. უნიჭიერესი მრბოლელია ფერნანდო ალონსო, ესპანელია და მე ცხადია, მას ვქომაგობ. თან ახლა ჩემპიონატსაც ლიდერობს და უკან მოიტოვა გენიალური მიხაელ შუმახერი. ჰოდა, რა ხდება? ყველამ შუმახერის გაქილიკება დაიწყო. მე კი მჯერა, რომ „შუმის“ ჩამოწერა ნაადრევია, ისევე როგორც მადრიდის „რეალისა“.

— გამოკითხვამ აჩვენა, რომ ინჩასები გუნდის წარუმატებლობაში ვანდერლეი ლუშემბურგოს არ ადანაშაულებენ. ამ სეზონში ბრაზილიელი უკვე „რეალის“ მესამე მწვრთნელია. ფეხბურთელებზე როგორ იმოქმედა მწვრთნელთა ხშირმა ცვლამ?

— ძალიან ცუდად. ძნელია, როცა სეზონისთვის ერთი მწვრთნელი გამზადებს და რამდენიმე მატჩის მერე გუნდიდან უშვებენ. მოდის ახალი თავკაცი, ახლა მას ეგუები და უცებ, საშობაო არდადეგების დასრულებისთანავე მასაც ითხოვენ. და კვლავ ახალი მწვრთნელი — ამჯერად ვანდერლეი ლუშემბურგო. ვფიქრობ, იგი შესანიშნავი სპეციალისტია, სწორედ მისი ხელმძღვანელობით მოვიგეთ ზედიზედ 7 მატჩი, თუმც ვანდერლეის დრო არ ეყო საიმისოდ, რომ ბოლომდე გამოესწორებინა საქმე.

— ხშირად ამბობენ, „რეალი“ რომ ჯერ კიდევ ცხრილის მოწინავეებშია, იკერ კასილიასის სეივებსა და რონალდოს გოლებს უნდა უმადლოდესო...

— კასილიასიც და რონალდოც მართლაც დიდი ძალაა „რეალისთვის“, მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ ჩვენ მხოლოდ მათი წყალობით ვიგებთ თამაშებს. მაგალითად, ბოლო ორ თვეში „რონიმ“ მხოლოდ ორი გოლი გაიტანა. თუმც დარწმუნებული ვარ, იგი ისევ საუკეთესო ბომბარდირი გახდება.

— „მალაგასთან“ მატჩისას ბექემი და რონალდო ინჩასებთან წალაპარაკდნენ. ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ისინი „სანტიაგო ბერნაბეუს“ დატოვებენ?

— ჩვენ ცუდი დრო გვიდგას და ქომაგებიც გაღიზიანებულნი ამიტომ არიან. კამაჩოს გუნდიდან წასვლაში ინჩასებმა ფეხბურთელები დაგვადანაშაულეს, თუმც უსამართლოდ. მათ მინდა ვუთხრა, რომ „რეალში“ მხოლოდ დიდ გამარჯვებებზე ოცნებობენ და საამისოდ ფეხბურთელები თავს არ ზოგავენ.

— 2006 წელს კლუბთან კონტრაქტი გიმთავრდებათ. ხელშეკრულების განახლებაზე ხელმძღვანელობასთან არ გისაუბრიათ?

— ვიცი, რომ კლუბის თავკაცები და უპირველესად მწვრთნელი ლუშემბურგო მენდობიან. „რეალში“ ექვსი წელია ვთამაშობ და მსურს, კარიერა ამ საოცარ გუნდში დავასრულო.

— როცა ჩემპიონთა თასი მერვედ მოიგეთ, ვისენტე დელ ბოსკე გუნდს სამი ცენტრალური მცველით ათამაშებდა — თქვენ, ივან კამპო და აიტორ კარანკა. როგორ ფიქრობთ, ასეთი სქემა დღევანდელ „რეალს“ გამოადგება?

— ჩვენ რომ ახლაც ასეთი სქემით ვთამაშობდეთ, ზიდანს მეტი თავისუფლება მიეცემოდა. გარდა ამისა, მიჩელ სალგადოცა და რობერტო კარლოსიც შეტევისთვის უფრო მოიცლიდნენ, მაგრამ ამ შემთხვევაში ორ საყრდენ ნახევარმცველს ვერ ვათამაშებთ, რა ვუყოთ თომას გრავესენსა და ხოსე მარია გუტის?

— პირდაპირ ვთქვათ, „ბარსელონამ“ ამ სეზონში აშკარად დაგჩაგრათ. ფაქტობრივად, ესპანეთის ჩემპიონია...

— „ბარსამ“ მართლაც ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა, განსაკუთრებით მისი პირველი ნაწილი. ახლა კი ოდნავ მოუკლო, რაც იმის იმედს მიტოვებს, რომ „რეალს“ ისევ შეუძლია ბრძოლა პირველობისთვის.

— თქვენ ამის მართლა გჯერათ?

— რომ არ მჯეროდეს, არც ვიტყოდი.

— დაბოლოს, მსოფლიოს საუკეთესო მეკარედ ვინ მიგაჩნიათ, კასილიასი თუ ბუფონი?

— რა თქმა უნდა, კასილიასი.

იტალიური პრესის ცნობით, ტურინის „იუვენტუსი“ მომავალ ზაფხულს დიეგოს დაიმატებს. 21 წლის ურუგვაელი „რივერ პლეიტში“ კარგად თამაშობს და რამდენიმე ევროპული გრანდის ყურადღების ცენტრშია. როგორც ამბობენ, იგი „იუვეში“ ჩაირიცხება, მაგრამ შემდეგ სეზონში სხვა კლუბში გაანათხოვრებენ.

ფრანგული „ლიონის“ ფორვარდმა სიდნეი გოვუმ აღნიშნა, რომ სეზონის ბოლოს გუნდს გამოიცვლის. „ვფიქრობ, დროა, უფრო მაღალი კლასის კლუბში გადავიდე. მე იტალიურ, ინგლისურ ან ესპანურ გუნდში მინდა გადასვლა. სატრანსფერო ბაზარზე საკმაოდ კარგი ფასი მაქვს და ამით უნდა ვისარგებლო“ — თქვა გოვუმ.

ესპანეთის ნაკრებისა და „ბეტისის“ ნახევარმცველი ხოაკინი ისევ „რეალზე“ ფიქრობს. „მალე „ბეტისს“ დავტოვებ, მაგრამ იქამდე მთელი ძალით ვეცდები, კლუბს სარგებლობა მოვუტანო. კლუბი და მთლიანად სევილია ძალიან მიყვარს. აქ ვისწავლე თამაში და ამას ვერასოდეს დავივიწყებ. ყველა თვლის, რომ „რეალში“ გადავალ. მადრიდელთა რიგებში ჩარიცხვა კი მეც მინდა, მაგრამ გადაწყვეტილი ჯერ არაფერია“ — აღნიშნა ხოაკინმა.

იტალიურმა „იუვენტუსმა“ ლიბერიულ კომპანიასთან — TAMOIL — ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რაც იმას ნიშნავს, რომ მომავალი ხუთი სეზონის მანძილზე ტურინელთა მაისურაზე ამ ფირმის ლოგო იქნება გამოსახული. „ბებერი ქალბატონი“ ამისთვის 76 მილიონ ევროს მიიღებს. უკვე ალაპარაკდნენ იმაზეც, რომ ამ ფულს „იუვეს“ ხელმძღვანელები პირველ რიგში „რომას“ თავდამსხმელ ანტონიო კასანოს შეძენას მოახმარენ.

ინგლისური „ბირმინგემი“ ჯერმენ პენანტის კონტრაქტის ბოლომდე გამოსყიდვას აპირებს. ფეხბურთელის სატრანსფერო ფასი დაახლოებით 3 მილიონი გირვანქაა. აქვე შეგახსენებთ, რომ ახალგაზრდა პენანტი მანქანის არაერთხელ არაფხიზელ მდგომარეობაში მართვისთვის სასჯელს იხდის, თუმც მას ამ კვირის ბოლოს დროზე ადრე გაათავისუფლებენ ციხიდან.

იტალიური „მესინას“ მცველმა ალესანდრო პარიზიმ განაცხადა, კლუბს მხოლოდ იმ შემთხვევაში დავტოვებ, თუ კონტრაქტს რომელიმე გრანდი შემომთავაზებსო. „მე მიყვარს „მესინა“ და უბრალოდ, უკეთესი პირობების გამო გუნდს ვერ დავტოვებ. ამას მხოლოდ იმ შემთხვევაში გავაკეთებ, თუ ჩემს 'შეძენას ჩემპიონთა ლიგაში გასული რომელიმე გუნდი მოისურვებს“ — თქვა 26 წლის პარიზიმ.

ფრანგული „ლიონის“ თავდამსხმელი სილვენ ვილტორდი გუნდში რჩება. „სულ ცოტა, ერთი სეზონით მაინც „ლიონში“ დავრჩები. აქ ყველაფერი მაკმაყოფილებს და თავს კარგად ვგრძნობ“ — განმარტა „არსენალის“ ყოფილმა ფეხბურთელმა.

იტალიური „მილანი“ უახლოეს დღეებში ლონდონურ „ჩელსის“ ერნან კრესპოს თაობაზე მოელაპარაკება და წესით, ყველაფერი კვირის ბოლოსთვის გადაწყდება. როგორც ამბობენ, „შავ-წითლები“ არგენტინელის შენარჩუნებას შეძლებენ. გარდა ამისა, მილანელები მასიმო ოდოთი დაინტერესებულან. 29 წლის ლაციოელი კაფუს ერთ-ერთ შემცვლელად მოიაზრება. სავარაუდოდ, რომაელები ოდოს სანაცვლოდ დაახლოებით ხუთ მილიონ ევროს მოითხოვენ.

გერმანული დორტმუნდის „ბორუსიას“ ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ წამყვან ფეხბურთელებს არ გაყიდიან. „მართალია, ფინანსურ კრიზისში ვართ, მაგრამ მოთამაშეების, განსაკუთრებით კი ტომაშ როსიცკის გაყიდვას არ ვაპირებთ. იგი ახლა ჩინებულ ფორმაშია“ — თქვა დორტმუნდელთა გენერალურმა მენეჯერმა ჰანს-იოახიმ ვაცკემ.

ინგლისური „ჩელსის“ ჰოლანდიელი ლეგიონერი არიენ რობენი რუმინეთთან მატჩისას დაშავდა და კვლავ საკმაოდ სერიოზულად. ექიმების თქმით, 21 წლის შემტევი ნახევარმცველი მიმდინარე სეზონში მინდორზე ვეღარ გავა. ამასობაში, ლონდონელთა იტალიელმა კარის დარაჯმა კარლო კუდიჩინიმ საბოლოდ გადაწყვიტა, რომ სეზონის ბოლოს გუნდს დატოვებს.

საფრანგეთის ნაკრებისა და „არსენალის“ კაპიტანი პატრიკ ვიეირა კვლავაც მილანის „ინტერის“ ერთ-ერთი მთავარი სამიზნეა. როგორც ამბობენ, „ნეროაძური“ მზად არის, 28 წლის ფეხბურთელში 38 მილიონი ევრო გაიღოს.

იტალიური „რომას“ ახალგაზრდა მეკარე ჯანლუკა კურჩის გუნდიდან წასვლა არ უნდა. „ახლა სათამაშო პრაქტიკა მჭირდება, აქ კი ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული არ მაქვს. ვფიქრობ, საუკეთესო გამოსავალი ჩემი რომელიმე კლუბში განათხოვრებაა, რადგანაც „რომადან“ წასვლას არ ვაპირებ“. — თქვა საკმაოდ პერსპექტიულმა კურჩიმ.

ინგლისური „ჩელსის“ თავკაცმა ჟოზე მაურინიუმ აღნიშნა, რომ კარიერის ბოლოს პორტუგალიის ეროვნული გუნდის გაწვრთნა უნდა. „მე სულ ცოტა, 13 წელიწადს ვაპირებ საკლუბო დონეზე მწვრთნელობას. ბოლოს კი მინდა, მშობლიური პორტუგალიის ნაკრები ჩავიბარო. ინგლისის ნაკრების გაწვრთნა ჩემი საქმე არ არის და ვფიქრობ, არც სვენ-გორან ერიკსონის საქმეა ეს. აჯობებს, თუ იგი მალე წავა. ეს პოსტი აუცილებლად ინგლისელმა სპეციალისტმა უნდა ჩაიბაროს“ — განაცხადა მაურინიუმ.

...და ან ცაზე ვახსენებენ

მარიო ზაგალო

ჰოროსკოპების მოყვარული ჯადოქარი

ვინც კვირა საღამოს ტელევიზორი რუსულ საფეხბურთო არხზე გადართო და ბრაზილიისა და პერუს ნაკრებთა შეხვედრას თხუთმეტი წუთით მაინც შეავლო თვალი, კადრებში, სადაც მსოფლიოს ჩემპიონთა მწვრთნელები და სათადარიგოები ჩანდნენ, აუცილებლად ამოიცნობდა მოხუცს, სათვალიან კაცს, რომელიც ყვითელ-მაისურიან გუნდში თითქმის იმდენი ხანია, რამდენიც თავად ეს გუნდი არსებობს.



ეს მოხუცი მარიო ზაგალოა, რომელსაც მეტსახელად ლობოს ანუ მგელს უწოდებენ. ის წლეულს, 9 აგვისტოს, 75 წლისა შესრულდება და ამ 75 წლის განმავლობაში ორჯერ (1958 და 1962) გახლდათ მსოფლიოს ჩემპიონი, როგორც ფეხბურთელი, ერთხელ (1970) როგორც მწვრთნელი და ორჯერ (1994 და 2002) როგორც მწვრთნელის თანაშემწე.

აქ ისეთ წვრილმანებს, როგორიც გახლავთ მსოფლიოს ვიცე ჩემპიონობა მწვრთნელის რანგში და სხვა ამგვარი, ბუნებრივია არ ვახსენებთ. ვისთვის, ვისთვის და მარიო ზაგალოსთვის მსოფლიო ძალიან პატარაა საიმისოდ, რომ მეორე ადგილზე გასვლა წარმატებად მიაჩნდეს

„მე მათ სამჯერ შევხვედრილვარ და სამივეჯერ მომიგია, ხოლო მოგების შემდეგ ბოლომდე მივლია და მსოფლიოს ჩემპიონი გავმხდარვარ. დამიჯერეთ, მეოთხედფინალში ჩვენ სწორედ ინგლისელები გვჭირდება და ამ ჩემპიონატსაც მოვიგებთ“ — ამბობდა ბატონი „მგელი“ 2002 წლის მუნდიალის დღეებში და ისე ყველაფერი მე და ამ წერილის მკითხველს აგვიხდეს კარგად, როგორც ამ, ჰოროსკოპების მოყვარულ ფეხბურთის ჯადოქარს აუხდა.

კიდევ გნებავთ ახდენებსა და ნიშნებზე საუბარი? ჩვენი თავი გენაცვალოთ: ლობო ბატონს ცხოვრების 75 წლის მანძილზე რამდენი მანქანა ეყოლებოდა ხომ წარმოგიდგენიათ, მაგრამ იცით, რომ თითოეული მათგანის გასაფორმებლად ვებერთელა ბრაზილიის ერთ პაწაწუნა ქალაქ ესპირიტუ სანტუში (ქართულად სულიწმინდაში) გარბის? კეთილი, ამას თავი დავანებოთ. იმაზე რას იტყვით, რომ იმ ესპირიტუ სანტუს შესაბამის ჩინოვნიკებს მანქანის ნომერში აუცილებლად ჩააწერინებს ხოლმე სიტყვას ვიქტორია ანუ გამარჯვება და მისთვის იღბლიან რიცხვს — 13.

აქ, სალაღობოდ გთავაზობთ ექსპერიმენტს: მიმართეთ თქვენთვის ყველაზე სასურველ ქართველ საფეხბურთო მოღვაწეს თავისი მანქანა გააფორმოს ნინოწმინდაში და სანომრე დაფაზეც საყვარელი ციფრები დააწერინოს, იქნებ გვეშველოს რამე...

ოღონდ ჩვენის მხრივ ამაზე ფიქრს თავს დავანებებთ, იმიტომ, რომ ცოტა ურწმუნონი გახლავართ და ვეიქრობთ, სეუ ზაგალოს დიდ წარმატებებში მანქანაზე მეტი წვლილი სხვა რაძე-რუმეებს შეაქვს.

ერთი სიტყვით, დავუბრუნდეთ დიადი ბერიკაცის ბიოგრაფიას, რომელსაც, გამოგიტყდებით და ცოტა დაბნეული ვწერთ, იმიტომ, რომ ვერ აგვირჩევია, აქცენტი რაზე გავაკეთოთ, ზაგალო-მწვრთნელზე თუ ზაგალო-ფეხბურთელზე... და ვაი, თუ საბოლოოდ არც ერთი გამოგვივიდეს და არც მეორე. და მაინც ვდი...

დავიწყოთ იმით, რომ როგორც ფეხბურთელმა, მან 1950-იანი წლების დასაწყისში დაიგდო სახელი. მანამდე კი, კერძოდ 1950-ში, ახალაშენებულ „მარაკანაზე“ სკაუტად იდგა.

თავიდან ზაგალო თამაშობდა სამოყვარულო კლუბ „ამერიკაში“, შემდეგ „კლუბ დე რეგატას დე ფლამენგოში“, სადაც სხვათაშორის გამოამჟღავნა კიდეც მარცხენაფლანგელის უბადლო ნიჭი. ერთადერთი, რაც პატარა ლობოს აკლდა, დიდი ღონე გახლდათ, რასაც საგანგებო ტექნიკით და დაუღალავობით აწონასწორებდა. როდესაც მისი გუნდი ბურთს დაკარგავდა, პირველი, ვინაც დაცვაში ჩარბენას და მეტოქის წინ დახვედრას ასწრებდა, სწორედ ის იყო.

ნაკრებში ნიჭიერმა ახალგაზრდამ 1953 წელს ამოჰყო თავი, სადაც 1958 წლის 4 მაისიდან 1964 წლის 7 ივნისამდე უკლებლივ ყველა შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, ხოლო, როგორც „ფლამენგოსა“ და შემდეგ უკვე „ბოტაფოგოს“ მოთამაშემ ხუთჯერ რიო დე ჟანეიროს შტატის ჩემპიონის ტიტულიც მიითვალა.

და მაინც, მოდით ბრაზილიური ფეხბურთის დიდი ფიესტის წელიწადს, 1970-ს გადავწვდეთ ანუ გავამართლოთ ჩვენი ეჭვი, რომ ამომწურავად ვერც ზაგალო-ფეხბურთელზე ვისაუბრებთ და ვერც ზაგალო-მწვრთნელზე. მოკლედ, მოდით ის დრო გავიხსენოთ, როდესაც ბრაზილიის ნაკრებში თამაშობდნენ პელე, ჟაირზინიო, ტოსტაო, გერსონი, რიველინო, კარლოს ალბერტო და სხვა ზევარსკვლავები და მათ მარიო ზაგალო წვრთნიდა.

სხვათაშორის, ისე სულაც არ იყო საქმე, მერე რომ იძახდნენ ზედმეტ ეიფორიას აყოლილნი, ამ ფეხბურთელებს მწვრთნელი სულ არ სჭირდებოდათო. ჰაი-ჰაი, რომ [illegible] სჭირდებოდა და [illegible]

[illegible] ეცოდინ[illegible] ... ერთად ... ზაგალომ კი კარგად იცოდა. [illegible] ... ბერიკაცის [illegible] ... ზაგალომ [illegible] ... ბრაზილიის [illegible] ... ბრაზილიელ [illegible] ... ზაგალომ

სამხრეთული სამშაბათი

ლადო ხოშერიკი

რომარიოც მიდის
ვილოცოთ პატარა ივისთვის

ლეგენდარული რომარიო უახლოეს ხანში დიდი ფეხბურთიდან წასვლას აპირებსო, გავრცელდა ხმა. ეს ამბავი კი ბრაზილიურმა გამოცემებმა, O DIA-მ და LANCE-მ მოსდეს დუნიას.

მოკლედ, როგორც ვკითხულობთ, „ვასკუ და გამას" 39 წლის ვეტერანმა — მიუხედავად, თავისი ამასწინანდელი განცხადებისა, ფეხბურთს „ღრმა სიბერემდე" ვითამაშებო — ბურთთან განშორება საბოლოოდ გადაწყვიტა. მიზეზი კი სტრესული მდგომარეობაა, რომელთანაც რომარიო მეშვიდე შვილის ჯანმრთელობის პრობლემებმა მიიყვანა. შეგახსენებთ, რომ პაწაწინა ივი, რომელიც სამყაროს სულ რაღაც ერთი კვირის წინ მოევლინა, დაუნის სინდრომითაა დაავადებული.

„ახლა, არა მარტო კლუბი, არამედ, მთელი ბრაზილია რომარიოს უთანაგრძნობს და მის საწუხარს ერთნაირი გულისტკივილით განიცდის. ჩვენ ფეხბურთელის გადაწყვეტილებას ცხადია, პატივისცემით ვეკიდებით და ამ გაჭირვების ჟამს სიმხნევეს ვუსურვებთ" — უთხრა გუშინ ჟურნალისტებს ეურიკო მირანდამ, „ვასკუ და გამას" პრეზიდენტმა.

კონტრაქტის თანახმად, „ბარსელონას" ყოფილ ვარსკვლავს „ვასკუში" შტატის ჩემპიონატის დასრულებამდე უნდა ებურთავა, მერე კი თავად რომარიო აირჩევდა, ბრაზილიის თასზე ითამაშებდა თუ ეროვნულ პირველობაზე, თუმც დღეს შვილის ავადმყოფობით დათრგუნულ კაცს, რა გასაკვირია, რომ სტადიონისკენ გახედვაც აღარ უნდა.

„რომარიო დიდი ფეხბურთელი და დიდი პიროვნებაა. მას ასეთი უბედურება არ უნდა დამართოდა. ღმერთს ვთხოვ, ივი მალე გამოჯანმრთელდეს და რომი სასოწარკვეთისგან დაიხსნას" — ეს კი „ვასკუ და გამას" ერთი, უბრალო გულშემატკივრის სიტყვებია.

ინჩასთა მხარდაჭერა კი მართლაც უზარმაზარია მისთვის — წინა კვირას, შტატის ჩემპიონატის მატჩში მოსისხლე მტრები, „ვასკუ და გამასა" და „ფლამენგოს" ფანები გაერთიანდნენ და რომარიოს გულწრფელად უქომაგეს. მსგავსი რამ კი ბრაზილიური ფეხბურთის ისტორიას ნამდვილად არ ახსოვს.

მეკარე რობერტო აბონდანსიერის თანაგუნდელების სჯერა

ძრწოდეთ არაარგენტინელებო!
ბოლივიში, თქვენ გელით ჯოჯოხეთი

„მატჩის წინ, ყველა ერთხმად აღნიშნავდა, რომ უკვე 32 წელია, რაც არგენტინის ნაკრებს ლა პასში არ უმარჯვია. ჩემთვის სულერთია, ოცდათორმეტი წელი იქნება, ორმოცი თუ ორმოცდაათი გასული, მთავარი ის გახლავთ, რომ ჩემმა ეროვნულმა გუნდმა ახლა მოიგო და სამი ქულაც ჩვენ ჩავიწერეთ. ახლა ოთხშაბათს კოლუმბიაც უნდა დავამარცხოთ, რათა გერმანიის მუნდიალს კიდევ უფრო მივუახლოვდეთ" — განაცხადა არგენტინის ნაკრების მეკარე რობერტო აბონდანსიერიმ შაბათს გამართული ბოლივია — არგენტინის მატჩის მერე „კლარინთან" ინტერვიუში.

მოგეხსენებათ, არგენტინელებმა ბოლივიელებს ლუჩანოს ორი — ფიგეროასა და გალეტის გოლებით სტუმრად 2:1 მოუგეს, ხოლო თავად „ელ პატო" (აბონდანსიერის ფანები მოფერებით „იხვს" ეძახიან) თავისიანების გონივრულ თამაშს ალუფრთოვანებია: „შეხვედრა ჭკვიანურად წარვმართეთ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლივია დაწინაურდა, ჩვენებს ფარხმალი არ დაუყრიათ."

მეკარის თქმით, ამჟამინდელი ნაკრების ყველა წევრს ერთმანეთისა სჯერა და ამიტომაც, ხოსე პეკერმანის შეგირდები დიდ წარმატებებსაც მიაღწევენ. „ჩვენ მოედანზე გამარჯვებაში სავსებით დარწმუნებულნი გავედით და მოვიგეთ კიდეც. მეტოქეების გასაგონად კი მინდა ვთქვა, რომ არამცთუ ბოლივიასთან, არამედ ნებისმიერ გუნდთან გაათრებით ვიბრძოლებთ და არგენტინის მოწინააღმდეგეებსაც წინ ნამდვილი ჯოჯოხეთი ელოდებათ".

მეკარემ „კლარინს" ჯერ კაპიტნობის განცდაზე უთხრა ორიოდ სიტყვა — არაჩვეულებრივი განცდა მეუფლება, სამკლავურს როცა ვიკეთებ — შემდეგ კი, ისევ ბოლივიასთან თამაშს დაუბრუნდა, თანაც მეტად ხატოვნად — იმ შეხვედრაში ჩვენი ბურთაობის ხარისხი, ლა პასივით ცაში გამოკიდული იყო.

შეგახსენებთ, რომ ბოლივიის დედაქალაქი ლა პასი ზღვის დონიდან 3 600 მეტრზე მდებარეობს.

ვინაა შენი მაიმუნი?
ველინგტონი კინოში გაუშვეს

ბრაზილიური „ამერიკა მინეიროს" ფეხბურთელი ველინგტონ პაულუ ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციამ მოედანზე რასისტული გამოხდომებისთვის დასაჯა, რის გამოც ფერადკანიან მეტოქეთა მაგინებელი ნახევარმცველი ფეხბურთს სულ მცირე, ერთი თვით ჩამოაშორეს.

ველინგტონ პაულუ ერთ-ერთმა ტელეოპერატორმა „ჩაუშვა" — თურმე მან, მინეიროს შტატის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩში „ატლეტიკო პარანენსეს" მცველ ანდრე ლუიზს „მყრალი მაიმუნი" უწოდა. ტელეკამერებმაც ეს ფაქტი გუშინ გამოამზეურეს.

„ფეხბურთში მსგავს სისაძაგლეებს მთელი სიმკაცრით უნდა ვებრძოლოთ. კანის ფერის მიხედვით მოთამაშეთა გარჩევა ყოვლად დაუშვებელია" — განაცხადა ფედერაციის წარმომადგენელმა იქაურ ჟურნალისტებთან საუბარში.

თავად დაჯარიმებული პაულუ კი ცხადია, სასჯელით აღშფოთებულია, მაგრამ ეტყობა, რომ ჩადენილს არ ნანობს.

„ეს სიგიჟეა, ფეხბურთელს მოედნის ყველა კუთხე-კუნჭულში ჯაშუშივით არ უნდა სდიო. ბურთისთვის ბრძოლაში „მაიმუნზე" უარესიც შეიძლება წამოიყვირო და რა, წამსვე დისკვალიფიკაცია უნდა აგკიდონ?" — იკითხა გაღიზიანებულმა ველინგტონმა, რომელიც „იმ წამსვე" ვერა, მაგრამ 14 დღის მერე გვარიანად კი შეაფუცხუნეს.

ველინგტონ პაულუ ახლა ნერვების დასაწყნარებლად კინოში წავაო, ირონიულად წერენ ბრაზილიური გაზეთები. რატომ? არსებობს ასეთი მწვრთნელი რენე სიმოეში, რომელიც „ვიტორიას" უდგას სათავეში და ხშირად ფეხბურთელებს სისხლის დასაწყნარებლად კინოში წასვლას ურჩევს-ხოლმე.



ველინგტონ პაულუმ რასისტობა ვერ შეირგო — თან, თავადაც ხომ შავია

ნუ აჰყვები პროვოკაციას
პელემ თანამემამულე აქო და ადიდა

მოგეხსენებათ, ბოლო ხანს რონალდო ვერც საკლუბო და ვერც სანაკრებო დონეზე ძველებურად ველარ ჩაუქრობს და ბევრ მის ოდინდელ თაყვანისმცემელსაც გული აუცრუვდა, მაგრამ არამც და არამც ედსონ არანტეს დუ ნასიმენტუს.

გუშინ პელემ ბრაზილიურ მედიასთან საუბარში მადრიდის „რეალის" თავდამსხმელზე ილაპარაკა.

„დამიჯერეთ, რონი კვლავაც მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი გახდება. დღესაც ერთ-ერთი უძლიერესია, თუმცა ცხოვრებაში დროებითი დაბრკოლებები ყველას აქვს და იგიც გარკვეულ სიძნელეებს ამიტომ განიცდის. სისულელეა იმის გაფიქრებაც, თუ მისნაირ „მატადორს" ასე იოლად ჩამოვწერთ. რონალდოსნაირებმა იციან, პრობლემებს როგორ უნდა მოუარონ და მერე ძველებურზე უკეთ როგორ გაიბრწყინონ".

გეცოდინებათ, პელესა და რონალდოს უსაყვარლესმა ბრაზილიამ კვირას, პერუს ნაკრებს უმასპინძლა და 1:0 მოუგო. სხვათაშორის, ეს ერთადერთი გოლი კაკამ სწორედ რონალდოს პასით გაიტანა, თუმც ამით „კიჭას" კრიტიკოსთა რაოდენობა მნიშვნელოვნად არ შემცირებულა.

ფეხბურთის მეფე ოპტიმიზმს მაინც არ კარგავს და თანამემამულეს სიმშვიდისკენ მოუწოდებს, რათა შეგნებულ პროვოკაციებს არ აჰყვეს.

პროვოკაციაში კი პელე, ალბათ, ესპანური პრიმერადივიზიონის 29-ე ტურში მომხდარ იმ ინციდენტს გულისხმობს, როცა რონალდოს თამაშით უკმაყოფილო მადრიდელმა ინჩასებმა მას „მაიმუნი" უწოდეს, რასაც ბრაზილიელის მხრიდან იმ ვაი-გულშემატკივრების მისამართით ნასროლი წყლით სავსე ბოთლი მოჰყვა.

სარგებელი: კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. I ლიგა						
		29 მარტი						
22:45	36	ალდერშოტი-ფულჰემი	2.8	3.2	2.25	1.49	1.24	1.32
		ინგლისი. II ლიგა						
		29 მარტი						
22:45	61	ოლდჰამ-ნორიჩი	1.4	3.7	7.0	1.01	1.16	2.42
		გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)						
		29 მარტი						
21:00	154	ქიელი-ბაიერნი(ii)	2.1	3.2	2.9	1.26	1.21	1.52
		30 მარტი						
22:15	155	ოფენბახი-ზიგენი	2.0	3.2	3.1	1.23	1.21	1.57
		ჩეხეთი						
		29 მარტი						
19:00	449	ბანიკ-ოსტავა	1.5	3.6	5.8	1.05	1.19	2.22
19:00	450	ბოლეზლავი-ბუდეიოვიკი	1.75	3.3	4.2	1.14	1.23	1.84
		მზ. შესარჩევი მატჩები						
		29 მარტი						
23:45	467	ბოლივია-ეკვადორი	1.85	3.3	3.6	1.18	1.22	1.72
		30 მარტი						
23:45	468	არგენტინა-კოლუმბია	1.35	4.3	7.5	1.02	1.14	2.73
23:45	469	პარაგვაი-ჩილე	1.75	3.4	4.2	1.15	1.23	1.87
23:45	470	ურუგვაი-ბრაზილია	3.9	3.2	1.85	1.75	1.25	1.17
23:45	471	პერუ-ეკვადორი	2.0	3.1	3.6	1.21	1.28	1.66
10:35	472	კორეა-ირანი	4.0	3.4	1.75	1.83	1.21	1.15
14:30	473	იაპონია-ბაჰრეინი	1.4	4.0	6.5	1.03	1.15	2.47
15:00	474	ს.კორეა-უზბეკეთი	1.3	4.5	8.5	1.0	1.12	2.94
20:45	475	კვეიტი-ს.არაბეთი	2.3	3.1	2.85	1.32	1.27	1.48
23:45	476	ტრინიდადი-კოსტა რიკა	3.1	3.0	2.15	1.52	1.26	1.25
23:45	477	აშშ-გვატემალა	1.3	4.5	8.0	1.0	1.11	2.88
23:45	478	პანამა-მექსიკა	5.5	3.8	1.5	2.24	1.17	1.07
20:00	479	ხორვატია-მალტა	1.03	9.0	35.0	1.0	1.0	7.15
18:50	480	ისლანდია-ნეიხეთი	30.0	8.0	1.05	6.31	1.01	1.0
19:00	481	ესტონეთი-რუსეთი	5.6	3.5	1.6	2.15	1.24	1.09
20:00	482	ლიტვა-ლუქსემბურგი	1.05	9.0	30.0	1.0	1.01	6.92
20:15	483	უკრაინა-დანია	2.1	3.1	3.35	1.25	1.29	1.61
20:30	484	საქართველო-თურქეთი	4.3	3.3	1.75	1.86	1.24	1.14
21:00	485	ხლოვენეთი-პორტუგალია	3.6	3.3	1.95	1.72	1.26	1.22
21:45	486	მოლდოვა-ნორვეგია	5.3	3.4	1.6	2.07	1.22	1.08
22:00	487	მაკედონია-რუმინეთი	5.0	3.5	1.6	2.05	1.21	[illegible]
22:00	488	ბოსნია-ლიტვა	1.6	3.5	5.5	1.09	1.23	2.13
22:00	489	პოლონეთი-ჩრდ.ირლანდია	1.2	5.5	11.0	1.0	1.08	[illegible]
22:15	490	ხლოვენია-ბელარუსი	1.7	3.3	4.6	1.12	1.24	[illegible]
22:30	491	ირლანდია-სიმეონი	1.02	10.0	35.0	1.0	[illegible]	[illegible]
22:30	492	შვეიცარია-კიპროსი	1.2	5.5	12.0	1.0	[illegible]	[illegible]
22:30	493	ავსტრია-უელსი	1.8	3.4	4.2	1.17	[illegible]	[illegible]
22:30	494	სან მარინო-ბელგია	35.0	9.0	1.03	7.15	[illegible]	[illegible]
22:30	495	საბერძნეთი-ალბანეთი	1.2	5.8	10.0	1.0	[illegible]	[illegible]
22:45	496	ისლანდია-ჩერნოგორია	1.02	10.0	35.0	1.0	[illegible]	[illegible]
22:45	497	უნგრეთი-ბულგარეთი	2.3	3.1	2.85	1.32	1.27	[illegible]
22:45	498	ისრაელი-საფრანგეთი	6.5	3.5	1.5	2.27	1.21	[illegible]
23:00	499	სერბეთი-ესპანეთი	3.1	3.0	2.2	1.52	1.28	[illegible]
		ამხანაგური მატჩები						
		29 მარტი						
22:30	448	ირლანდია-ჩინეთი	1.3	4.2	8.0	1.0	[illegible]	[illegible]
		ეწ. შესარჩევი მატჩები(21)						
		29 მარტი						
15:00	500	მოლდოვა(21)-ნორვეგია(21)	3.6	3.2	1.9	1.69	[illegible]	[illegible]
16:00	501	საქართველო(21)-თურქეთი(21)	3.6	3.4	1.8	1.74	[illegible]	[illegible]
17:00	502	უნგრეთი(21)-ბულგარეთი(21)	2.1	3.0	3.1	1.23	[illegible]	[illegible]
17:00	503	ბოსნია(21)-ლიტვა(21)	1.8	3.3	3.6	1.16	[illegible]	[illegible]
17:00	504	სერბია(21)-ესპანეთი(21)	2.6	3.0	2.4	1.39	1.24	[illegible]
17:15	505	საბერძნეთი(21)-ალბანეთი(21)	1.3	4.5	8.0	1.0	[illegible]	2.88
18:00	506	ხორვატია(21)-მალტა(21)	1.04	9.0	18.0	1.0	[illegible]	[illegible]
19:00	507	ლატვია(21)-ლუქსემბურგი(21)	1.15	5.8	12.0	1.0	[illegible]	[illegible]
19:00	508	უკრაინა(21)-დანია(21)	2.2	3.0	2.9	1.26	[illegible]	[illegible]
19:00	509	ხლოვენია(21)-ბელარუსი(21)	1.8	3.3	3.8	1.16	1.22	[illegible]
20:00	510	ისრაელი(21)-საფრანგეთი(21)	4.0	3.3	1.75	1.8	1.21	[illegible]
20:00	511	ავსტრია(21)-უელსი(21)	2.0	3.0	3.3	1.2	1.24	[illegible]
21:00	512	ხლოვენეთი(21)-ბერმუდალია(21)	3.6	3.2	1.85	1.69	[illegible]	[illegible]
21:00	513	შვეიცარია(21)-კიპროსი(21)	1.15	5.5	12.0	1.0	[illegible]	[illegible]
21:30	514	ალბანეთი(21)-ხიმეონი(21)	1.05	7.5	20.0	1.0	[illegible]	[illegible]
22:30	515	სან მარინო(21)-ბელგია(21)	20.0	8.5	1.05	5.96	[illegible]	[illegible]
22:45	516	ირლანდია(21)-ჩეხეთი(21)	1.05	9.0	15.0	1.0	[illegible]	5.62
14:00	517	ესტონეთი(21)-რუსეთი(21)	7.0	3.6	1.4	2.37	1.16	[illegible]
18:00	518	მაკედონია(21)-რუმინეთი(21)	3.8	3.2	1.8	1.73	1.22	[illegible]

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11467	ბოლივია-ვენესუელა	2.5	10.0	20.0	3.5	4.6	7.5	20.0	10.0	7.0
11468	არგენტინა-კოლუმბია	1.7	15.0	30.0	3.4	4.8	12.0	20.0	11.0	11.0
11469	პარაგვაი-ჩილე	2.5	10.0	20.0	3.5	4.6	7.5	20.0	10.0	7.0
11470	ურუგვაი-ბრაზილია	6.0	10.0	20.0	7.5	4.4	3.6	20.0	10.0	2.3
11471	პერუ-ეკვადორი	3.0	10.0	20.0	4.0	4.4	6.0	20.0	10.0	5.3
11472	კორეა-ირანი	6.0	10.0	20.0	7.5	4.4	3.6	20.0	10.0	2.4
11473	იაპონია-ბაჰრეინი	1.9	12.0	25.0	3.5	4.6	10.0	20.0	10.0	10.0
11474	ს.კორეა-უზბეკეთი	1.6	12.0	25.0	3.5	5.0	10.0	20.0	10.0	10.0
11475	კუვეიტი-ს.არაბეთი	3.3	10.0	20.0	4.4	4.4	5.6	20.0	10.0	4.8
11476	ტრინიდადი-კოსტა რიკა	4.8	10.0	20.0	5.6	4.4	4.2	20.0	10.0	3.1
11477	აშშ-გვატემალა	1.7	15.0	30.0	3.5	5.0	11.0	20.0	11.0	11.0
11478	პანამა-მექსიკა	6.0	10.0	20.0	7.0	4.4	3.5	20.0	10.0	2.1
11481	ესტონეთი-რუსეთი	7.0	10.0	20.0	8.5	4.4	3.5	20.0	10.0	2.1

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11483	უკრაინა-დანია	3.2	10.0	20.0	4.2	4.4	5.6	20.0	10.0	[illegible]
11484	საქართველო-თურქეთი	5.3	10.0	20.0	6.0	4.4	4.0	20.0	10.0	2.5
11485	ხლოვენეთი-პორტუგალია	6.5	10.0	20.0	7.5	4.4	3.6	20.0	10.0	2.5
11486	მოლდოვა-ნორვეგია	7.5	10.0	20.0	8.5	4.4	3.5	20.0	10.0	[illegible]
11487	მაკედონია-რუმინეთი	7.5	10.0	20.0	8.5	4.4	3.5	20.0	10.0	[illegible]
11488	ბოსნია-ლიტვა	2.0	10.0	20.0	3.5	4.6	9.0	20.0	10.0	7.5
11489	პოლონეთი-ჩრდ ირლანდია	1.45	15.0	30.0	3.4	4.8	12.0	20.0	11.0	11.0
11490	ხლოვენია-ბელარუსი	2.3	10.0	20.0	3.5	4.6	9.0	20.0	10.0	8.0
11492	შვეიცარია-კვიპროსი	1.45	15.0	30.0	3.5	5.0	11.0	20.0	11.0	11.0
11493	ავსტრია-უელსი	2.4	10.0	20.0	3.5	4.6	7.5	20.0	10.0	7.0
11495	საბერძნეთი-ალბანეთი	1.4	15.0	30.0	3.5	5.0	11.0	20.0	11.0	11.0
11497	უნგრეთი-ბულგარეთი	3.3	10.0	20.0	4.4	4.4	5.6	20.0	10.0	[illegible]
11498	ისრაელი-საფრანგეთი	7.0	10.0	20.0	8.0	4.4	3.5	20.0	10.0	2.2
11499	სერბეთი-ესპანეთი	4.8	10.0	20.0	5.6	4.4	4.2	20.0	10.0	2.9

ლუბო ოლიმპიურის ბილეთი ბავშვ მატჩის თუ ბილეთი (0.10 ინვალიდებს ლუბოდ)

		ლუბი	კენტი
17467	ბოლივია-ვენესუელა	1.85	1.95
17468	არგენტინა-კოლუმბია	1.85	1.95
17469	პარაგვაი-ჩილე	1.85	1.95
17470	ურუგვაი-ბრაზილია	1.85	1.95
17471	პერუ-ეკვადორი	1.85	1.95
17472	კორეა-ირანი	1.85	1.95
17473	იაპონია-ბაჰრეინი	1.85	1.95
17474	ს.კორეა-უზბეკეთი	1.85	1.95
17475	კუვეიტი-ს.არაბეთი	1.85	1.95
17476	ტრინიდადი-კოსტა რიკა	1.85	1.95
17477	აშშ-გვატემალა	1.85	1.95
17478	პანამა-მექსიკა	1.85	1.95
17481	ესტონეთი-რუსეთი	1.85	1.95
17483	უკრაინა-დანია	1.85	1.95
17484	საქართველო-თურქეთი	1.85	1.95
17485	ხლოვენეთი-პორტუგალია	1.85	1.95
17486	მოლდოვა-ნორვეგია	1.85	1.95
17487	მაკედონია-რუმინეთი	1.85	1.95
17488	ბოსნია-ლიტვა	1.85	1.95
17489	პოლონეთი-ჩრდ ირლანდია	1.85	1.95
17490	ხლოვენია-ბელარუსი	1.85	1.95
17492	შვეიცარია-კვიპროსი	1.85	1.95
17493	ავსტრია-უელსი	1.85	1.95
17495	საბერძნეთი-ალბანეთი	1.85	1.95
17497	უნგრეთი-ბულგარეთი	1.85	1.95
17498	ისრაელი-საფრანგეთი	1.85	1.95
17499	სერბეთი-ესპანეთი	1.85	1.95

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10467	ბოლივია-ვენესუელა	2.3	2.0	4.0	1.06	1.46	1.33
10468	არგენტინა-კოლუმბია	1.65	2.4	7.0	1.0	1.33	1.78
10469	პარაგვაი-ჩილე	2.3	2.0	4.1	1.06	1.47	1.34
10470	ურუგვაი-ბრაზილია	4.1	2.0	2.4	1.34	1.51	1.09
10471	პერუ-ეკვადორი	2.5	2.1	3.6	1.14	1.47	1.32
10472	კორეა-ირანი	4.5	2.0	2.1	1.38	1.43	1.02
10473	იაპონია-ბაჰრეინი	1.7	2.1	7.0	1.0	1.36	1.61
10474	ს.კორეა-უზბეკეთი	1.5	2.6	7.5	1.0	1.25	1.93
10475	კუვეიტი-ს.არაბეთი	2.7	2.0	3.4	1.14	1.5	1.25
10476	ტრინიდადი-კოსტა რიკა	3.3	2.0	2.4	1.24	1.38	1.09
10477	აშშ-გვატემალა	1.5	2.8	7.0	1.0	1.23	2.0
10478	პანამა-მექსიკა	5.8	2.3	1.75	1.64	1.34	1.0
10481	ესტონეთი-რუსეთი	6.0	2.3	1.8	1.66	1.38	1.0
10483	უკრაინა-დანია	2.65	2.0	3.65	1.13	1.53	1.29
10484	საქართველო-თურქეთი	4.0	2.1	2.35	1.37	1.48	1.1
10485	ხლოვენეთი-პორტუგალია	4.2	2.0	2.4	1.35	1.52	1.09
10486	მოლდოვა-ნორვეგია	5.0	2.2	1.9	1.52	1.37	1.01
10487	მაკედონია-რუმინეთი	5.0	2.2	1.9	1.52	1.37	1.01
10488	ბოსნია-ლიტვა	1.8	2.3	5.7	1.0	1.36	1.65
10489	პოლონეთი-ჩრდ ირლანდია	1.35	2.8	8.0	1.0	1.15	2.07
10490	ხლოვენია-ბელარუსი	2.2	2.1	4.2	1.07	1.44	1.39
10492	შვეიცარია-კვიპროსი	1.35	2.8	8.0	1.0	1.15	2.07
10493	ავსტრია-უელსი	2.2	2.1	4.2	1.07	1.44	1.39
10495	საბერძნეთი-ალბანეთი	1.35	2.8	8.0	1.0	1.15	2.07
10497	უნგრეთი-ბულგარეთი	2.75	2.0	3.4	1.15	1.52	1.25
10498	ისრაელი-საფრანგეთი	5.8	2.3	1.8	1.64	1.37	1.0
10499	სერბეთი-ესპანეთი	3.5	2.0	2.6	1.27	1.49	1.13

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო). (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12467	ბოლივია-ვენესუელა	1.7	1.9
12468	არგენტინა-კოლუმბია	1.9	1.7
12469	პარაგვაი-ჩილე	1.7	1.9
12470	ურუგვაი-ბრაზილია	1.7	1.9
12471	პერუ-ეკვადორი	1.7	1.9
12472	კორეა-ირანი	1.7	1.9
12473	იაპონია-ბაჰრეინი	1.7	1.9
12474	ს.კორეა-უზბეკეთი	1.9	1.7
12475	კუვეიტი-ს.არაბეთი	1.6	2.0
12476	ტრინიდადი-კოსტა რიკა	1.7	1.9
12477	აშშ-გვატემალა	2.0	1.6
12478	პანამა-მექსიკა	1.9	1.7
12481	ესტონეთი-რუსეთი	1.7	1.9
12483	უკრაინა-დანია	1.6	2.0
12484	საქართველო-თურქეთი	1.7	1.9
12485	სლოვაკეთი-პორტუგალია	1.7	1.9
12486	მოლდოვა-ნორვეგია	1.7	1.9
12487	მაკედონია-რუმინეთი	1.7	1.9
12488	ბოსნია-ლიტვა	1.7	1.9
12489	პოლონეთი-ჩრდ ირლანდია	1.9	1.7
12490	სლოვენია-ბელარუსი	1.7	1.9
12492	შვეიცარია-კვიპროსი	1.7	1.9
12493	ავსტრია-უელსი	1.7	1.9
12495	საბერძნეთი-ალბანეთი	1.9	1.7
12497	უნგრეთი-ბულგარეთი	1.7	1.9
12498	ისრაელი-საფრანგეთი	1.7	1.9
12499	სერბეთი-ესპანეთი	1.6	2.0

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

14467	ბოლივია-ვენესუელა	1.65	2.3
14468	არგენტინა-კოლუმბია	1.2	2.6
14469	პარაგვაი-ჩილე	1.45	2.4
14470	ურუგვაი-ბრაზილია	2.3	1.6
14471	პერუ-ეკვადორი	1.7	2.2
14472	კორეა-ირანი	2.4	1.45
14473	იაპონია-ბაჰრეინი	1.2	2.6
14474	ს.კორეა-უზბეკეთი	1.15	2.9
14475	კუვეიტი-ს.არაბეთი	1.8	2.0
14476	ტრინიდადი-კოსტა რიკა	2.15	1.7
14477	აშშ-გვატემალა	1.2	2.6
14478	პანამა-მექსიკა	2.5	1.3
14481	ესტონეთი-რუსეთი	2.5	1.3
14483	უკრაინა-დანია	1.8	2.0
14484	საქართველო-თურქეთი	2.1	1.4
14485	სლოვაკეთი-პორტუგალია	2.2	1.7
14486	მოლდოვა-ნორვეგია	2.5	1.3
14487	მაკედონია-რუმინეთი	2.5	1.3
14488	ბოსნია-ლიტვა	1.3	2.5
14489	პოლონეთი-ჩრდ ირლანდია	1.07	2.9
14490	სლოვენია-ბელარუსი	1.45	2.4
14492	შვეიცარია-კვიპროსი	1.07	2.9
14493	ავსტრია-უელსი	1.45	2.4
14495	საბერძნეთი-ალბანეთი	1.07	2.9
14497	უნგრეთი-ბულგარეთი	1.8	2.0
14498	ისრაელი-საფრანგეთი	2.5	1.3
14499	სერბეთი-ესპანეთი	2.0	1.8

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15467	ბოლივია-ვენესუელა	3.0	2.8	2.0
15468	არგენტინა-კოლუმბია	3.0	[illegible]	2.0
15469	პარაგვაი-ჩილე	[illegible]	[illegible]	2.0
15470	ურუგვაი-ბრაზილია	3.0	2.8	2.0
15471	პერუ-ეკვადორი	3.0	2.8	2.0
15472	კორეა-ირანი	3.0	2.8	2.0
15473	იაპონია-ბაჰრეინი	3.0	2.8	2.0
15474	ს.კორეა-უზბეკეთი	3.0	2.8	2.0
15475	კუვეიტი-ს.არაბეთი	3.0	2.8	2.0
15476	ტრინიდადი-კოსტა რიკა	3.0	2.8	2.0
15477	აშშ-გვატემალა	3.0	2.8	2.0
15478	პანამა-მექსიკა	3.0	2.8	2.0
15481	ესტონეთი-რუსეთი	3.0	2.8	2.0
15483	უკრაინა-დანია	3.0	2.8	2.0
15484	საქართველო-თურქეთი	3.0	2.8	2.0
15485	სლოვაკეთი-პორტუგალია	3.0	2.8	2.0
15486	მოლდოვა-ნორვეგია	3.0	2.8	2.0
15487	მაკედონია-რუმინეთი	3.0	2.8	2.0
15488	ბოსნია-ლიტვა	3.0	2.8	2.0
15489	პოლონეთი-ჩრდ ირლანდია	3.0	2.8	2.0
15490	სლოვენია-ბელარუსი	3.0	2.8	2.0
15492	შვეიცარია-კვიპროსი	3.0	2.8	2.0
15493	ავსტრია-უელსი	3.0	2.8	2.0
15495	საბერძნეთი-ალბანეთი	3.0	2.8	2.0
15497	უნგრეთი-ბულგარეთი	3.0	2.8	2.0
15498	ისრაელი-საფრანგეთი	3.0	2.8	2.0
15499	სერბეთი-ესპანეთი	3.0	2.8	2.0

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ჩემპიონთა ლიგა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
5 აპრილი								
22:45	400	ლივერპული-იუვენტუსი	2.55	3.1	2.6	1.39	1.28	1.41
22:45	401	ლიონი-პსვ	1.75	3.3	4.5	1.14	1.25	1.9
6 აპრილი								
22:45	402	ჩელსი-ბაიერნი	1.75	3.3	4.5	1.14	1.25	1.9
22:45	403	მილანი-ინტერი	2.0	2.9	4.0	1.18	1.33	1.68

უეფას თასი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
7 აპრილი								
20:30	404	ცსკა-ოსერი	1.8	3.2	4.2	1.15	1.25	1.81
22:45	405	აუსტრია-პარმა	2.25	3.0	3.0	1.28	1.28	1.5
22:45	406	ნიუკასლი-სპორტინგი	1.75	3.2	4.5	1.13	1.25	1.87
22:45	407	ვილიარეალი-ალკმაარი	1.55	3.5	5.0	1.07	1.18	2.05

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10400	ლივერპული-იუვენტუსი	2.9	2.0	3.2	1.18	1.52	1.23
10401	ლიონი-პსვ	2.2	2.0	4.6	1.04	1.48	1.39
10402	ჩელსი-ბაიერნი	2.2	2.0	4.6	1.04	1.48	1.39
10403	მილანი-ინტერი	2.6	2.1	3.6	1.16	1.5	1.32
10404	ცსკა-ოსერი	2.3	2.0	4.3	1.06	1.49	1.36
10405	აუსტრია-პარმა	2.7	2.1	3.2	1.18	1.46	1.26
10406	ნიუკასლი-სპორტინგი	2.2	2.0	5.0	1.04	1.52	1.42
10407	ვილიარეალი-ალკმაარი	1.9	2.3	5.3	1.04	1.39	1.6

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
13400	ლივერპული-იუვენტუსი	1.7	1.9
13401	ლიონი-პსვ	1.7	1.9
13402	ჩელსი-ბაიერნი	1.7	1.9
13403	მილანი-ინტერი	1.7	1.9
13404	ცსკა-ოსერი	1.7	1.9
13405	აუსტრია-პარმა	1.7	1.9
13406	ნიუკასლი-სპორტინგი	1.7	1.9
13407	ვილიარეალი-ალკმაარი	1.7	1.9

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12400	ლივერპული-იუვენტუსი	1.6	2.0
12401	ლიონი-პსვ	1.7	1.9
12402	ჩელსი-ბაიერნი	1.6	2.0
12403	მილანი-ინტერი	1.6	2.0
12404	ცსკა-ოსერი	1.6	2.0
12405	აუსტრია-პარმა	1.7	1.9
12406	ნიუკასლი-სპორტინგი	1.7	1.9
12407	ვილიარეალი-ალკმაარი	1.7	1.9

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

14400	ლივერპული-იუვენტუსი	1.9	1.9
14401	ლიონი-პსვ	1.65	2.2
14402	ჩელსი-ბაიერნი	1.65	2.2
14403	მილანი-ინტერი	1.75	2.1
14404	ცსკა-ოსერი	1.6	2.3
14405	აუსტრია-პარმა	1.8	2.0
14406	ნიუკასლი-სპორტინგი	1.65	2.2
14407	ვილიარეალი-ალკმაარი	1.3	2.55

ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

		ლუწი	კენტი
17400	ლივერპული-იუვენტუსი	1.85	1.95
17401	ლიონი-პსვ	1.85	1.95
17402	ჩელსი-ბაიერნი	1.85	1.95
17403	მილანი-ინტერი	1.85	1.95
17404	ცსკა-ოსერი	1.85	1.95
17405	აუსტრია-პარმა	1.85	1.95
17406	ნიუკასლი-სპორტინგი	1.85	1.95
17407	ვილიარეალი-ალკმაარი	1.85	1.95

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15400	ლივერპული-იუვენტუსი	3.0	2.8	2.0
15401	ლიონი-პსვ	3.0	2.8	2.0
15402	ჩელსი-ბაიერნი	3.0	2.8	2.0
15403	მილანი-ინტერი	3.0	2.8	2.0
15404	ცსკა-ოსერი	3.0	2.8	2.0
15405	აუსტრია-პარმა	3.0	2.8	2.0
15406	ნიუკასლი-სპორტინგი	3.0	2.8	2.0
15407	ვილიარეალი-ალკმაარი	3.0	2.8	2.0

რომელი გუნდი გავა შემდეგ ეტაპზე

18400	ლივერპული-იუვენტუსი	2.9	1.35
18401	ლიონი-პსვ	1.65	2.2
18402	ჩელსი-ბაიერნი	1.65	2.2
18403	მილანი-ინტერი	1.55	2.3
18404	ცსკა-ოსერი	1.7	1.9
18405	აუსტრია-პარმა	2.3	1.5
18406	ნიუკასლი-სპორტინგი	1.65	2.0
18407	ვილიარეალი-ალკმაარი	1.4	2.6

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ქართულ-არაქართული დერბი

ფაჩულია სკიტას გუნდს ებუღრავა

მურაზ ფილიშენჯიშვილის ფოტო

ნიკა ცქიტიშვილის (მარცხნივ) „გოლდენ სტეიტი“ და ზაზა ფაჩულიას „მილუოკი“ ერთმანეთს კი შეხვდნენ, თუმცა ქართველები მოედანზე არ შებმულან

ტრადიციას დავარღვევთ და ლეგიონერთა მიმოხილვას ოკეანგაღმელი ქართველებით დავიწყებთ. თანაც ამის ფრიადი მიზეზიც გვაქვს: ჯერ ერთი, გასულ კვირაში ჩვენებურთა გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს და მთავარი — ამ „ქართულ დერბიში“ ზაზა ფაჩულიამ სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ითამაშა.

ეს ამბავი, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, მაგრამ ამ ცნობის უარყოფითი მხარე ის გახლავთ, რომ მეორე ქართველ ნიკოლოზ ცქიტიშვილს არ უთამაშია. მან, როგორც ბოლო დროს დაჩვევია, მთელი შეხვედრა სათადარიგოთა სკამზე გაატარა და ფაჩულიას ქებულ გარჯას მოედნის გარედან უცქირა.

ერთი სიტყვით, პლეი ოფისთვის მებრძოლი „მილუოკი“ „გოლდენ სტეიტს“ ეთამაშებოდა და ეს არ გახლდათ მხოლოდ თამაში, არამედ ბრძოლა, ომი და, თუ გნებავთ, თავპირის მტვრევაც. მატჩის ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა და ოვერტაიმში „გოლდენ სტეიტმა“ ერთი ქულით, 118:117 იმარჯვა.

დიახ, ასეთ მატჩში გამოიჩინა თავი „მილუოკის“ ქართველმა ცენტრმა. ზაზა ფაჩულიამ 30 წუთი, მათ შორის მთელი ოვერტაიმი მოედანზე გაატარა და 13 ქულა, 9 მოხსნა, 2 დაფარება და ერთი ჩაჭრა მოაგროვა. ზაზას კინკილა მოხსნა დააკლდა მეორე საამსეზონო ორმაგ დუბლამდე, თუმც ამის გარეშეც დაიმსახურებდა ქებას მილუოკელთა უფროსობისგან.

„მილუოკის“ რომ მოეგო, ფაჩულიას მონაგარს ორმაგი ელვარება ექნებოდა, თუმც, სამწუხაროდ, „ხარირმებმა“, ისევე როგორც სამი გასული კვირის მატჩი, „გოლდენ სტეიტთან“ ჯახიც წააგეს და საპლეიოფო შანსები უფრო გაიუფერულეს.

ევროკონტინენტზე კი ყველაზე ჩაუქი ტატო ვაშაკიძე გახლდათ. მართალია, იგი რანგით დაბალ, ლიტვის მეორე ლიგაში თამაშობს, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ მისი გუნდი „პასვალიო“ პირველ ადგილზეა და თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, უმაღლესს დააჭაშნიკებს.

ჰოდა, პირველი ლიგის საუკეთესო გუნდის ლიდერი ტატო ვაშაკიძეა, რომელიც 19 წლისაა და მომავალი სწორედაც რომ აქვს. მან გასული შაბათ-კვირის მხოლოდ ერთი მატჩი ითამაშა და თუ რატომ, ჩვენთვის უცნობია, თუმც ალბათ ტრავმაა მიზეზი, თორემ შაბათს 27 ქულის მომხვეჭ მოთამაშეს კვირას რომელი მწვრთნელი არ ათამაშებდა?

ასეა თუ ისე, „პასვალიომ“ ამ უქმეებზე ორივე მატჩი მოიგო და მდევარ „კლაიპედასთან“ სხვაობა უკვე სამ ქულამდე გაზარდა. ვაშაკიძემ კი „პრიენასთან“ მოგროვილ 27 ქულას. 4 მოხსნა, 5 პასი და 3 ჩაჭრაც მოაყოლა, რაც, დაგვეთანხმებით, სერიოზული შედეგია.

სხვა მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. ვიქტორ სანიკიძის „დიჟონმა“ დაისვენა, მანუჩარ მარკოიშვილმა ისევ არ ითამაშა, ვლადიმერ ბოისა და შემონდ უილიამსი კი ჩვეულად სტაბილურნი იყვნენ.

უილიამსის „უნიკსი“ ფიბა-ევროლიგას დაემშვიდობა — თანამემამულე „ხიმკისთან“ საპლეიოფო სერიის გადამწყვეტი მატჩი წააგო. ყაზანელებმა ევროსარბიელზე განცდილი მარცხის შემდეგ ხასიათი ოდნავ გამოიკეთეს — რუსეთის ჩემპიონატში სტუმრად სურგუტის „უნივერსიტეტი“ დაამარცხეს. ქართულპასპორტიანი ამერიკელი კი იმით გამოირჩა, რომ 10 შედეგიანი გადაცემა გააზერხა, რასაც, სხვათა შორის, 19 ქულაც მოაყოლა.

რუსულ სუპერლიგაში თამაშის შანსი გიორგი ცინცაძესაც ჰქონდა, რომლის „ურალ გრეიტიც“ ბარე ერთთვიანი უქმობის შემდეგ შიდა ჩემპიონატს დაუბრუნდა. პერმელები ევროსარბიელზე „უნიკსის“ მძლეველ „ხიმკის“ ხვდებოდნენ და ქიმიკოსებს მათაც ვერაფერი მოუხერხეს. ცინცაძე განაცხადში კი იყო, მაგრამ მოედანზე არ გასულა.

ბოლოსთვის ერთი დამაიმედებელი ინფორმაცია: კარგა ხნის უქმობის შემდეგ მოედანს დაუბრუნდა ეპინალელი გიორგი მდივანი, რომელმაც საფრანგეთის PRO B-ში „ივრის“ წინააღმდეგ 16 წუთი ითამაშა და 5 ქულა მოუგროვდა.

ირაკლი პერტაია

სახელი გვარი	გუნდი	ტურნირი	მეტოქე	სად	ანგარიში	წთ	ქ	მ	პ	ჩ
ვლადიმერ ბოისა	ოლიმპია	ადრიატიკის ლიგა	სლოვანი	შ	88:87	37	12	1	2	0
მანუჩარ მარკოიშვილი	ოლიმპია	ადრიატიკის ლიგა	სლოვანი	შ	88:87	არ უთამაშია				
შემონდ უილიამსი	უნიკსი	ფიბა-ევროლიგა	ხიმკი	ს	80:98	33	15	2	2	1
		სუპერლიგა (რუსეთი)	სურგუტი	ს	96:109	37	19	2	10	1
გიორგი ცინცაძე	ურალ გრეიტი	სუპერლიგა (რუს)	ხიმკი	ს	93:102	არ უთამაშია				
გიორგი მდივანი	ეპინალი	PRO B. საფრანგეთი	ივრი	ს	76:89	16	5	2	1	1
დავით უგრეხელიძე	პივოვარნა	ადრიატიკის ლიგა	ჰელიოსი	შ	66:56	17	2	3	0	0
ტატო ვაშაკიძე	პასვალიო	მეორე ლიგა (ლიტვა)	პრიენა	შ	99:68	არ უთამაშია				
			პუნტუკასი	ს	86:76	37	27	4	5	3
ნიკოლოზ ცქიტიშვილი	გ.სტეიტი	ნბა. რეგულარული ჩემპ.	მილუოკი	შ	118:117	არ უთამაშია				
			დალასი	შ	97:109	არ უთამაშია				
ზაზა ფაჩულია	მილუოკი	ნბა. რეგულარული ჩემპ.	სიეტლი	ს	84:92	5	0	2	0	0
			კლიპერსი	ს	108:116	17	9	8	0	0
			გოლდენ სტეიტი	ს	117:118	30	13	9	0	1
			იუტა	ს	89:94	16	5	5	0	1

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ

NBA რეგულარული ჩემპიონატი

ეროვნული ბიბლიოთეკა



AFP ლოს ანჯელესიდან

გოიმების პოდიუმი

კობი ბრაიანტს ამბიცია დააღვა

— 27 მარტი —

ლეიკერსი 89:96 ფილადელფია

ლეიკერსი: ბრაიანტი (34 ქულა, 10 მოხსნა), მიმი (17 ქულა, 11 მოხსნა)
ფილადელფია: აივერსონი (20 ქულა, 15 პასი, 4 ჩაჭრა), იგუდალა (18), ვებერი (14 ქულა, 14 მოხსნა)

კობი ბრაიანტი ალბათ ვერ წარმოიდგენდა ასეთ ყოფას, როცა საკუთარი ნიჭით სპეკულანტობდა და სხვა გუნდში გაცვლას ითხოვდა ამ სეზონის დაწყებამდე. მაშინ ბრაიანტის ბუნტმა გუნდის მეორე ლიდერის შაკილ ონილის სხვაგან გაცვლა და აწყობილი, საჩემპიონო გუნდის დანგრევა გამოიწვია, ამ ყველაფერმა კი მწარე შედეგი მოგვიანებით მოიტანა — გაუწონასწორებელი „ლეიკერსი“ რეგულარული ჩემპიონატის მეორე ნახევარში დაიღალა და დაეცა.

კვირას „ლეიკერსი“ „ფილადელფიას“ მასპინძლობდა და თუმცა ბრაიანტმა 34 ქულა მოიხვეჭა, მასპინძლები მაინც დამარცხდნენ, თან ზედიზედ მერვედ და ვინ იცის, იქნებ საბოლოოდაც მოსწყდნენ საპლეიოფო მარათონს. „ლეიკერსი“ უპლეიოფოდ? წარმოგიდგენიათ? ასეთი რამ ბოლოს 1994 წელს შეემთხვა ანგელოზთა და გარყვნილების ქალაქის რჩეულ გუნდს. ის კი არა, კვირასვე მინეაპოლისში „ლოს ანჯელეს კლიპერსს“ ოდნავ მეტი იღბალი რომ ჰქონოდა, მდიდარ და გაზულუქებულ თანაქალაქელს გადაასწრებდა და საეროთდ მე-11 ადგილზე ჩააქვეითებდა დასავლეთ კონფერენციაში.

კიდევ ერთი ფაქტი შეარცხვენს ექსჩემპიონებს: „ფილადელფიას“ ლიდერმა და ყველაფერმა ალენ აივერსონმა საზიზღრად ითამაშა. თამაშიდან 28-ჯერ ტყორცნა ბურთი, 23 ააცილა და შეხვედრა სულ რაღაც 20 ქულით დაასრულა. ფილადელფიელთაგან სხვასაც არავის გაუგიჟებია თავი, აივერსონზე მეტი ვერავინ მოიხვეჭა და „ლეიკერსმა“ ასეთ მეტოქესაც ვერ მოუხერხა ვერაფერი.

საზიზღრად ვითამაშეთ, წესით, ეს წაგებულებს უნდა ელაპარაკათ და ცოტა გასაკვირია, აივერსონმა რომ თქვა — „ეს ისეთი თამაშია, რომლის დავიწყებაც მინდა და ალბათ კარგა ხანს ვერ დავივიწყებ. ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი უარესი მატჩი იყო.“

თუმც უხიერო სროლების და მეტოქისთვის უამრავი ბურთის ნუქების მიუხედავად, აივერსონმა კარგი „რამეებიც“ აკეთა, კერძოდ, უჩვეულოდ ბევრი პასი არიგა, სულ 15 მოაგროვა და კარიერის რეკორდი გაიმეორა.

„ამის გამო კი ვარ მოხარული, რომ ამ საძაგელ თამაშში რაღაც მაინც ვაკეთე სწორად. ბევრი პასი დამიგროვდა და ამასაც არა უშავს. მადლობა თანაგუნდელებს, რომელთაც ჩემი პასები შედეგიანი შეტევებით დაასრულეს. მარიდა ასეთ ცუდ გუნებაზე ნუ გგონივართ, ბოლოს და ბოლოს ჩვენ ხომ მოვიგეთ და ესეც საქმეა.“

მოკლედ, აივერსონმაც და სხვებმაც ბევრი ილაპარაკეს ნამატჩევს, ოღონდ სიტყვა არ დაუძრავთ 2001 წლის პლეი ოფის ფინალზე, როცა „ლეიკერსმა“ 4:1 შემუსრა „ფილადელფია“ და ზედიზედ მეორედ, კლუბის ისტორიაში კი მეცამეტედ იჩემპიონა. დიდებული დრო იყო „ლეიკერსისთვის“, კობი ბრაიანტსაც არ ამძიმებდა ამდენი უსარგებლო და ბოდიში მის ქომაგებთან — გოიმური ამბიცია.

სან ანტონიო 83:70 ჰიუსტონი

სან ანტონიო: ჯინობილი (18), ბერი (17)
ჰიუსტონი: მაკგრეიდი (26), მინგი (18)

მინესოტა 89:85 კლიპერსი

მინესოტა: გარნეტი (20 ქულა, 13 მოხსნა), კასელი (16)
კლიპერსი: ბრენდი (25), მეჯიტი (14 ქულა, 13 მოხსნა)

სიეტლი 94:95 ვაშინგტონი

სიეტლი: ალენი (27), ლუისი (16), დანიელსი (15)
ვაშინგტონი: ჰიუზი (31 ქულა, 11 მოხსნა, 5 პასი, 4 ჩაჭრა), არენასი (18 ქულა, 9 პასი, 7 მოხსნა)

REUTERS ლონდონიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაუერბრიჯით ხელშეუხებელი

დიდი რბოლა ტემზაზე

დღეს, როცა ლამის სპორტის ყველა სახეობაში იმართება მსოფლიოს ჩემპიონატები, როცა ტარდება უდიდესი საერთაშორისო ასპარეზობები, ხოლო ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ თითქმის ყველა ქვეყანა ირაზმება და ოლიმპიური თამაშებისკენ მიემართება, დიდი ბრიტანეთის 90-ზე მეტი უნივერსიტეტიდან ორადორის სპორტული დაპირისპირება თითქოს სხვათა დაინტერესებას არ უნდა იწვევდეს. ოღონდაც, როცა საუბარია ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტია „ნავების რბოლაზე", ეს უკვე უბრალოდ ნავების რბოლა ნამდვილად აღარ არის.

ბრიტანეთის ეს ორი უძველესი სასწავლებელი, რომლებიც საუკუნეებია, რაც ეროვნულ ლეგენდად და ცნობილ პირიქნებათა სამჭედლოდ ქცეულან, ერთმანეთს არა მხოლოდ განათლების სფეროში, არამედ სპორტულ სარბიელზეც ეჯიბრებიან. ამ შეჯიბრებათაგან უძველესი სწორედ მათი „ნავების რბოლაა", რომელიც საერთოდ მთელს მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი სპორტული ასპარეზობა გახლავთ და იგი 1829 წლიდან იღებს სათავეს.

წლევანდელ რბოლაში, რომელიც მდინარე ტემზაზე 151-ედ ჩატარდა, ოქსფორდელებმა გაიმარჯვეს, რომელთა ეკიპაჟიც ამ შეჯიბრებათა მთელი ისტორიის განმავლობაში ყველაზე მძიმე აღმოჩნდა. თუმცა, ნიჩბოსანთა სიძლიერეს მათი კარგი ტექნიკის დემონსტრირებისთვის ხელი არ შეუშლია და მეტოქე მთელი ორი კორპუსით ჩამოიტოვა.

ოქსფორდელები სტარტიდანვე დაწინაურდნენ, მაგრამ ფულემის რაიონთან კემბრიჯელები თითქმის გაუთანაბრდნენ მეტოქეს. და მაინც, ოქსფორდელებმა არც ერთ მონაკვეთზე ლიდერობა არ დათმეს და გაიმარჯვეს — 16 წუთი და 41 წამი. ბოლო 4 წლის განმავლობაში ეს მათი მესამე გამარჯვებაა.

ამ შეჯიბრების მთელი ისტორიის განმავლობაში ოქსფორდელებმა 72-ედ მოიგეს, თუმცა ამ მხრივ ისინი კემბრიჯელებს მაინც 5 გამარჯვებით ჩამორჩებიან, ერთხელ კი, შორეულ 1877 წელს პაექრობა ფრედ დასრულდა.

წლევანდელ რბოლაში ორივე ეკიპაჟის შემადგენლობაში ოთხოთხი ოლიმპიური ჩემპიონი იყო და მათი რბოლა ხარისხის თვალსაზრისით საუკეთესოდ აღიარეს. თუმცა ოქსფორდელთა შედეგი 22 წამით უარესია კემბრიჯელთა 1998 წლის რეკორდზე.

მაშინ კემბრიჯელებმა იგივე დისტანცია, რაც 4 მილსა და 374 იარდს (6800 მეტრამდე) შეადგენს, 16 წუთსა და 19 წამში დაფარეს.

წლევანდელი ასპარეზობის დღეს ვეტერანთა რბოლაც გაიმართა, იქ კი უკვე კემბრიჯელებმა იმარჯვეს.

უფრო საინტერესო ისაა, რომ გამარჯვებულმა ვეტერანებმა ძირითადი რბოლის მომგებთა შედეგზე 3 წამით უკეთესი დრო აჩვენეს...



REUTERS ლონდონიდან

რაკი სტატისტიკა არავრთხელ მოვიმარჯვეთ, ამ რბოლათა ისტორიიდან კიდევ რამდენიმე საინტერესო ფაქტს გავიხსენებთ.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ იმ შორეულ წარსულში ერთმა კემბრიჯელმა სტუდენტმა თავისი ბავშვობის მეგობარს, რომელიც ოქსფორდში სწავლობდა, შესთავაზა, მოდი, ჩვენი გუნდებით მდინარე ტემზაზე ნიჩბოსნობაში გავეჯიბროთ ერთმანეთსო. და მოხდა სასწაული — პირველ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად 20 ათასი მსურველი გამოჩნდა. მაშინ, მიუხედავად ნავის ტექნიკური უწესრიგობებისა, ოქსფორდელებმა გაიმარჯვეს.

მას შემდეგ კემბრიჯისა და ოქსფორდის უნივერსიტეტთა ნიჩბოსნების შეჯიბრება ყოველწლიურად იმართება. გამონაკლისი, რა თქმა უნდა, მსოფლიო ომების წლები იყო.

ასპარეზობისას იყო შემთხვევები, როცა რბოლის მონაწილეთა ერთი ან მეორე ნავი ფინიშამდე ვერ აღწევდა და გზაში იძირებოდა. მსგავსი რამ სულ ბოლოს 1978 წელს მოხდა, როცა გაკვირვებული გულშემატკივრებისა და მილიონობით ტელემაყურებლის თვალწინ კემბრიჯელთა ნავი ჩაიძირა.

სხვათა შორის, ამ შეჯიბრებას ტელევიზიით 1938 წლიდან გადასცემდნენ. ეს არა მხოლოდ სპორტული, არამედ სატელევიზიო ტრადიციაცაა.

1951 წლის ასპარეზობისას ოქსფორდელთა ნავი ლამის სტარტისთანავე ჩაიძირა. მსაჯებმა ეს ოქსფორდელთა წაგებად არ ჩათვალეს და ასპარეზობა თავიდან გამართეს, რომელშიც კემბრიჯელებმა მეტოქეს მთელი თორმეტი კორპუსით ავჯობეს.

სამართლიანობისთვის ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ 1978 წელს, როცა კემბრიჯელების ნავი ჩაიძირა და მისი ეკიპაჟის წევრებს მოუხდათ შუა დისტანციაზე ცივი წყლის აბაზანის მიღება, განმეორებითი სტარტი აღარ დაუნიშნავთ. აი, 1912 წელს კი ორივე უნივერსიტეტის ნავი ჩაიძირა. ეს იყო პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი ამგვარი შემთხვევა შეჯიბრების მთელი ისტორიის განმავლობაში.

2002 წელს ეს რბოლა დიდი ტექნიკური სიახლეებითაც იყო გამორჩეული, მაგრამ გაზეთები უფრო მის რომანტიკულ ასპექტზე ამახვილებდნენ ყურადღებას. იმ წელიწადს კემბრიჯელთა მესაჭე სტუდენტი გოგო იყო — ელეანორ გრიგსი. მას ოქსფორდელთა ნავის მესაჭე ბიჭი ეტრფოდა. 15 წლის ოქსფორდელი მასზე ცოტითი უფროს ელეანორს სიყვარულში გაძოუტყდა, მაგრამ გრიგსმა იგი უარყო. და როგორც ბრიტანული გაზეთები წერდნენ, ამ ბიჭმა იმ გოგოზე გამარჯვებით იძია შური.

ერთი სიტყვით, ამ ორი უნივერსიტეტის ნიჩბოსანთა ბრძოლა კი არ უფერულდება, არამედ სულ უფრო ჰოპულარული ხდება და სულ მეტ მაყურებელს იძენს. მაგალითად, შარშან ამ შეჯიბრებას 6,1 მილიონი ტელემაყურებელი ჰყავდა. ამ ასპარეზობას კომენტარს ბრიტანეთის ნიჩბოსნობის ვარსკვლავები უკეთებენ და ამბობენ, ეს რბოლა ტაუერბრიჯით მუდმივი და ხელშეუხებელიაო.

ავთანდილ ბაყვიშელი

REUTERS ლონდონიდან

საფინს მარტვიური აქვს



AFP

NASDAQ-100 OPEN
მაიამი, მაგარსაფარი კალები, საპრიზო 3,2 მლნ. $

მესამე წრე

დომინიკ ჰრბატი (26, სლოვაკეთი) — მარატ საფინი (3, რუსეთი) 7:6 (8:6) 6:1; **ტომას იოჰანსონი** (25, შვედეთი) — კარლოს მოია (5, ესპანეთი) 7:6 (8:6) 3:6 6:2; **დავიდ ფერერი** (ესპანეთი) — დავიდ ნალბანდიანი (8, არგენტინა) 7:6 (9:7) 6:1; **ირჟი ნოვაკი** (24, ჩეხეთი) — ტომი რობრედო (12, ესპანეთი) რობრედომ ვერ ითამაშა; **ივან ლიუბიჩიჩი** (13, ხორვატია) — ვინსენტ სპადია (21, აშშ) 6:3 4:6 7:6 (7:3); **რაფაელ ნადალი** (29, ესპანეთი) — ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) 6:2 6:2; **ხუან კარლოს ფერერო** (ესპანეთი) — იგორ ანდრეევი (რუსეთი) 6:4 6:3

ქალები. საპრიზო 3,115 მლნ $

ამელი მორეზმო (1, საფრანგეთი) — ანა სმაშნოვა (30, ისრაელი) 6:2 6:1; **მარია შარაპოვა** (2, რუსეთი) — მარისა ირვინი (აშშ) 6:2 6:0; **სერენა უილიამსი** (3, აშშ) — შაჰარ პეერი (ისრაელი) 6:3 6:3; **ელენა დემენტიევა** (4, რუსეთი) — მაგდალენა მალეევა (27, ბულგარეთი) 6:3 6:4; **ანასტასია მისკინა** (5, რუსეთი) — ფლავია პენეტა (26, იტალია) 6:4 6:0; **სვეტლანა კუზნეცოვა** (6, რუსეთი) — დალი რანდრიანტეფი (მადაგასკარი) 6:1 6:3; **ალიშა მოლიკი** (7, ავსტრალია) — ხისელა დულკო (არგენტინა) 3:6 6:3 6:4; **ვინუს უილიამსი** (8, აშშ) — ფაბიოლა სულუაგა (კოლუმბია) 6:2 6:0; **კატალინა კასტანო** (კოლუმბია) — პატი შნიდერი (11, შვეიცარია) 6:3 2:6 6:1; **კიმ კლაისტერსი** (ბელგია) — ნატალი დეში (12, საფრანგეთი) 6:0 6:2; **ტატიანა გოლოვინი** (საფრანგეთი) — ელენა ბოვინა (13, რუსეთი) 6:3 7:6 (7:4); **შინობუ ასაგოე** (იაპონია) — ფრანჩესკა სკიავონე (14, იტალია) 6:0 6:3; **ელენა ლიხოვცოვა** (15, რუსეთი) — აი სუგიამა (21, იაპონია) 6:4 3:6 6:3; **კაროლინა შპრემი** (16, ხორვატია) — სტეფანი კოენ-ალორო (საფრანგეთი) 6:2 6:2; **ჟუსტინ ენენ-არდენი** (19, ბელგია) — მურია ლიაგოსტერა ვივესი (ესპანეთი) 6:3 6:2

როცა რომ ავსტრალიის წლევანდელ ღია პირველობაზე უჩვეულოდ დინჯი და ამასთან კვლავაც მრავალფეროვანი, ღონიერი ჩოგბურთი გვიჩვენა — და სანამ ფინალში მასპინძელთა ჯილა ჰიუიტს შემუსრავდა, ნახევარფინალში თვით ამქრის ზეგარდმო პირველოსანი როჯერ ფედერერი დაიქნია — მილეთში იფიქრეს, რომ წლეულს 25 წლის რუს ჰოტროველას ნაღდად ველარავინ გააჩერებდა. მაგრამ ყველაფერი სხვარიგად კი მოხდა — საფინმა ნაავსტრალიევს უკვე მესამე ტურნირზე სცადა ბედი და ერთხელაც ვერ შეძლო, ზედიზედ ორი სკალპი რომ მიეთალა... ამ ჯერზე მისი ისედაც ცუდი მაიამური მონაგარი — აქამდე მას იქ 12-ჯერ ეთამაშა და ექვსი გამარჯვების წილ ექვსჯერვე დამარცხებულიყო — კიდევ უფრო მეტად სლოვაკმა დომინიკ ჰრბატიმ წამურდლა. უგემურად მობურჭალე საფინმა მის წინაალმდეგ ვერაფერი გააწყო და, რაკი — ცალკერძ ხვატის, ცალკერძ კი საკუთარი უმწეობის გამო სულ მთლად გახელდა — ერთი-ორჯერ ჩოგანიც დაახეთქა და ხელებიც შლეგიანად მიაქნ-მოაქნია. საერთოდ, ამ თვეში ყოველთვის ბითურად ვთამაშობო, იმართლებოდასავით ის მერე და, ჰაი-ჰაი, რომ არც თუ მეტისმეტად სცდებოდა.

ისე კი გეტყვით, რომ საფინის მარცხმა მესამე სარეიტინგსიო ალაგი დაუნარჩუნა მაიამობის შარშანდელ ჩემპიონ ენდი როდიკს, ვისაც იქ ნაშოვნი უხვი ქულადი მარაგის დაცვა მაჯის ტრავმამ არ დაანება.

სხვაფრივ — ბითუმად გაივაკეს ზეათეულელმა ქალებმა და მათ არც კორტს მობრუნებული ბელგიური სუპერწყვილი ჩამორჩათ — წინა კვირაში ინდიანუელსობაზე ნაჩემპიონარმა კიმ კლაისტერსმა ბდღვირი გაადინა მე-12 ნომრად განთესილ ნატალი დეშის, ხოლო ხანგრძლივი უქმობის მერე სულაც თავის მეორე მატჩში მოკეჭნავე ჟუსტინ ენენ-არდენმა 58 წუთში გახედნა გრძელსახელა უსახელო ესპანელი ნურია ლიაგოსტერა ვივესი.

ტიტულის სამგზის დამცველმა სერენა უილიამსმა თავისი წილი დაბრკოლების გადალახვას ჟუსტინზე 32 წუთით მეტი მონდომა და ეს მით უფრო მოულოდნელი იყო, რომ მას 17 წლის ებრაელი კვალიფიკანტი შაჰარ პეერი ექაჩებოდა. სწორედ იმის გამო, რომ შაჰარმა მას მუქთად არაფერი დაუთმო, ბოლო გათამაშების მოგებისას, როცა ბურთის ბადეზე შეხების მერე სერენას წესით მობოდიშება და რამე ეკუთვნოდა, მან საჩოგბურთო პროტოკოლი სულ ჩოგანზე დაიკიდა და ყოვლად მტაცებლურად გამარჯვების ყიჟინა ატეხა.

ჰო, რამდენიმე გათამაშების მოგება მას მართლაც მაგრად გაუხარდაო, ამბობდა მერე ნორჩი ებრაელგოგო და ღიმილოსნობდა. სერენას კი ძირითადად სწორედ იმას ეკითხებოდნენ, რატომაა, კორტზე ამდენი ყოჩაღი ნინველა რომ მომრავლდა და აქედან ერთიც არ არის ამერიკელიო. სერენას პასუხი ამგვარი გახლდათ:

„აქ ყველას პოპვარსკვლავობა უნდა, ბეიონსობა და ბრიტნისპირსობა. ეტყობა, ჩემი იმიჯი უფრო უნდა დავხვეწო, რათა მიკროფონის მაგივრად ხელში ჩოგნის დაჭერა მოუნდეთ."

არტემ ჩაჩანიძე

ინგლისი

პირველი ლიგა. XL ტური

ბორნმუთი 0:1 დონსი
ბარნსლი 3:2 უოლსოლი
ბლეკპული 2:2 ჰარტლპული
ბრენტფორდი 0:0 პიტერბრო
კოლჩესტერი 1:0 ჩესტერფილდი
ტორკი 1:4 ლუტონი
ტრანმერი 2:4 დონკასტერი
ოლდემი 1:0 ჰალი
ბრედფორდი 3:1 სტოკპორტი

მეორე ლიგა. XL ტური

როვერსი 3:3 დარლინგტონი
კემბრიჯი 0:2 საუთენდი
ჩელტენემი 1:2 სუონსი
ჩესტერი 2:1 ბერი
გრიმსბი 0:0 რაშდენი
კიდერმინსტერი 1:3 მენსფილდი
მაკლსფილდი 1:1 ბოსტონი
ნორთჰემპტონი 2:0 შრიუსბერი
ოქსფორდი 2:2 ლეიტონი
როჩდეილი 1:1 უიკომბი
ლინკოლნი 2:0 სკანთორპი

კონფერენსლიგა. XL ტური

ლეი 0:2 მორეკემბი
სკარბორო 1:1 ბარტონი
ტემუორთი 0:0 სტივენეიჯი
აკრინგტონი 2:2 იორკი
ბარნეტი 1:0 ძონვი
დაგენემი 1:0 ძროული
ექსეტერი 2:1 ფარნბორო
გრეივსენდი 0:0 ფორესტ გრინი
ჰერეფორდი 4:0 ნორსვიჩი
კარლაილი 1:0 ჰალიფაქსი

გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა. გადადებული მატჩი

პადერბორნი 2:0 უნიონი

სამხრეთ რეგიონალლიგა. გადადებული მატჩები

აალენი 0:4 დარმშტადტი
კობლენცი 0:0 ჰოფენჰაიმი
მიუნხენი (მ) 2:3 ელვერსბერგი
კაიზერსლაუტერნი 4:2 შტუტგარტი (მ)
კიკერსი 1:2 ფიოხტი

შვეიცარია

ჩელენჯლიგა. გადადებული მატჩები

იუვენტუსი 1:2 ლუგანო
ვინტერთური 1:1 ივერდონი
ბოლმი 0:1 კონკორდია

საფრანგეთი

მეორე დივიზიონი. გადადებული მატჩი

ტრუა 1:0 კლერმონი

ჰოლანდია

მეორე დივიზიონი. გადადებული მატჩები

ვოლენდამი 2:1 ტელსტარი
სიტარდი 0:1 ჰაარლემი

დანია

I დივიზიონი. XVI ტური

ფრემი 2:2 ფრედერისია
ფრემადი 1:2 კიოგე
დალუმი 4:1 ბ-93 კოპენჰაგენი
ნესტვედი 0:2 ჰელერუპი
ნიკიობინგი 0:2 ჰორსენსი
სკიოლდი 1:4 სიონდერიულანდი
ვაილე 1:1 იოლსტიკე

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

72 დღე-ღამე ოკეანეში



ფრანგმა ქალმა მოდ ფონტენუამ წლეულს 12 იანვარს პერუს კალიაუს პორტიდან დაადო თავი და თავისი ნიჩბიანი ნავით, რომლის სიგრძე 7,5, ხოლო სიგანე 1,6 მეტრია, წყნარი ოკეანის ტალღებს შეება, ბოლომდე გადაცურა იგი და 72 დღის მერე, 26 მარტს მარკიზის კუნძულთაგან ერთ-ერთს ჰივა ოას მიაღწია, რისთვისაც 8 ათასი კილომეტრი დაფარა. ამგვარად, მოდ ფონტენუა გახდა პირველი ქალი, ვინც წყნარი ოკეანე მარტოდმარტომ ნიჩბიანი ნავით გადაცურა, უფრო დაწვრილებით კი ხვალინდელ „სარბიელში" გიამბობთ.

ამბერის ტურნირი

მონტე კარლო. მონაკო 19 - 31 მარტი

VIII ტური

ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) — პეტერ ლეკო (უნგრეთი)	0,5:0,5	1:0
ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) — ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი)	0:1	1:0
ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) — ევგენი ბარეევი (რუსეთი)	0,5:0,5	1:0
ფრანცისკო ვალეხო (ესპანეთი) — ლუკ ვანველი (ჰოლანდია)	1:0	0:1
ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) — პეტერ სვიდლერი (რუსეთი)	0,5:0,5	1:0
ალექსეი შიროვი (ესპანეთი) — ბორის გელფანდი (ისრაელი)	0,5:0,5	

პირველად მოცემულია დაფაზედაუხედავი პარტიის შედეგი

აზიელმა დედოფალმა ევროპელი გააჩერა



ანანდმა ლეკოსთან გამოიღვიძა

წინა ორ ტურში ჩავარდნის შემდეგ, ინდუსმა ვიშვანათან ანანდმა გამოიღვიძა და მრისხანე მეტოქე უნგრელ პეტერ ლეკოს, 1,5:0,5 მოუგო. მადიარი დიდოსტატი რომელიც ყოველთვის სტაბილური თამაშით გამოირჩევა, ეტყობა ფორმაში არ არის, ძვირფას ქულებს ჰაერში ფანტავს და მეხუთეზე არის მომჯდარი.

დაფაზედაუხედავ პარტიაში ანანდმა და ლეკომ 20 სვლა ითამაშეს, ცარიელ დაფაზე ფიგურები მიყარ-მოყარეს და ზავი გამოაცხადეს.

სწრაფი პარტია ლეკომ კლასიკური შ4-ით დაიწყო და თავიდანვე ანანდის იერიშების მოგერიება მოუხდა. აზიელმა მხედრებით შეუტია ევროპელს, წინა ფრონტზე მდგარი ჯარი მთელ დაფაზე მიმოუფანტა და ფლანგი აურია. მომდევნო სვლაზე იერიშებს ლეკო შეუდგა, თუმც ანანდს ვერ აჯობა და 27-ე სვლაზე ლაზიერი დაკარგა. მიუხედავად ასეთი დანაკარგისა ლეკოს ინდუსზე მეტი დამრტყმელი ფიგურა დარჩა. მოჭადრაკეებმა პაიკების გაყვანაზე იწყეს ზრუნვა, მარცხენა ფლანგიდან ანანდი ერთადერთი ლაზიერით სამი პაიკის გაყვანას შეუდგა, ლეკომ კი დარჩენილი ძალები შავ მეფეს მიუსია და თან მოეირიშე პაიკების შეჩერებას შეეცადა. შეტაკებებს ინდოელის დედოფალი შეეწირა, თუმც სამივე პაიკს სამოძრაო გზა გაუთავისუფლა და 51-ე სვლაზე მორიგი გამარჯვება მოიპოვა.

მეორე ადგილზე ავიდა უკრაინელი ვასილ ივანჩუკი. მერვე ტურში მან მთავარ მეტოქე რუს პეტერ სვიდლერს აჯობა 1,5:0,5.

ლაშა გეგეჭკორი

1. ვიშვანათანი ანანდი (ინდოეთი) ---------- 6/6/12
2. ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) ---------- 4/5,5/9,5
3. ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) ---------- 4,5/4,5/9
4. პეტერ სვიდლერი (რუსეთი) ---------- 4,5/4/8.5
5. პეტერ ლეკო (უნგრეთი) ---------- 4/4,5/8,5
6. ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) ---------- 4,5/4/8,5
7. ალექსეი შიროვი (ესპანეთი) ---------- 3,5/4,5/8

პირველად მოცემულია დაფაზედაუხედავი პარტიის შედეგი, მეორეზე სწრაფის

ᲝᲥᲠᲝᲡ ᲨᲐᲰᲘᲜᲘ

გახურებულა დუბაის მსოფლიო თასი და „ოქროს შაჰინიც“ ამერიკულ ცხენს „სარატოგა ქაუნთის“ მოუგია. მხედრად ხავიერ კასტელანო ყოფილა. დუბაის დოლის საპრიზო ფონდი კი უდიდესია მსოფლიოში და 6 მილიონ დოლარს უტოლდება.



REUTERS დუბაიდან

REUTERS მიშელ ბიდან

ᲖᲔᲓᲘᲖᲔᲓ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ

ანიკა სარენსტამს, დიახაც, ეკუთვნის შამპანური და მეტიც. მან ზედიზედ მეხუთედ მოიგო დიდი საგოლფე ტურნირი. ამჯერად ეს მიშელ პილზში იყო, კალიფორნიაში, განთქმულ „კრაფტ ნაბისკოს“ შეჯიბრზე.

ᲟᲝᲖᲔ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ

თელ ავივის ერთ დარბაზში მინის ავორებს ჟოზე მაურინიო. „სელსის“ სკანდალური მწვრთნელი ორი დღითაა ისრაელში, რათა ისრაელ-პალესტინურ ერთობლივ საფეხბურთო პროექტს დაუჭიროს მხარი.

REUTERS თელ ავივიდან

REUTERS რენნიდან

ᲙᲐᲠᲒᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ფრანგულ ქალაქ რენში საქველმოქმედო ფეხბურთი გამართულა. მთელი შემოსავალი ლეიკოდისტროფიით დაავადებულთა ასოციაციას გადაეცა. თამაში თავისი მინდორზე ყოფნით და შეწევნით ზინედინ ზიდანმა დააამშვენა. კარგი საქმეა.

REUTERS რენნიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფრიცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანიბაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარუანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კელურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენგაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსხიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge